ნინო დიდებაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე შუა საუკუნეების კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად. პროგრამა: შუა საუკუნეების კვლევები; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი პაატა ბუხრაშვილი

ოქონის ხატი მოსკოვის თოფხანიდან

ხელმძღვანელის წინასიტყვაობა

2014 წლის აგვისტოში ელ-ფოსტით დამიკავშირდა მეგობარი და კოლეგა პროფ. შაჰმარდან ამიროვი (http://archaeolog ru/~amirov) და მთხოვა დახმარება ერთი, აქამდე უცნობი ქართული წარწერის წაკითხვაში, რასაც ვერ ახერხებდა მისი ერთ-ერთი ნაცნობი ხელოვნებათმცოდნე; შესაბამისად, გადმომიგზავნა წარწერის ფოტოც. წარწერა გვამცნობდა:

ცხოვლის მყოფელო ოქონის ხატო, შემწჰექმენ მეფესა არჩილს, დედოფალსა ქეთევანს, ძეთა და ასულთა მათთა. ქკს : ტოვ (XIII = 781 + 532 = XIV 1313 + (ტოვ)376 =1692 წ.)

ამდენად, ჩვენს ხელთ, სრულიად მოულოდნელად, აღმოჩნდა სამეცნიერო სამყაროსათვის აქამდე უცნობი და შეუსწავლელი, ისტორიული ღირებულების მქონე მნიშვნელოვანი ინფორმაცია. მე, შაჰმარდანს ვთხოვე, რომ იგი დამხმარებოდა რათა კავშირი დამემყარებინა უშუალოდ იმ პიროვნებასთან, რომელიც იყო დაინტერესებული ამ წარწერის წაკითხვით. იგი აღმოჩნდა მოსკოვის კრემლის თოფხანის (საიარაღო პალატის - Оружейная палата) მეცნიერ-თანამშრომელი, ქალბატონი სვეტლანა ზუზევა. მასთან დაკავშირების შემდეგ, მოვიპოვე წარწერის უფრო მაღალი ხარისხის გამოსახულება. ამის შემდეგ, მე ჩემს მაგისტრანტს, ნინო დიდებაშვილს, რომელიც შუა საუკუნეების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი გახლდათ, შევთავაზე სამაგისტრო ნაშრომის მომზადება აღნიშნულ მასალაზე. მან სიამოვნებით მიიღო ჩემი შეთავაზება და მოამზადა სამაგისტრო ნაშრომი, რომელიც წარმატებით დაიცვა ილიას უნივერსიტეტის საგამოცდო კომისიის წინაშე 2015 წ-ს.
კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამენიერო-კვლევითი ინსტიტუტის საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით აღნიშნულ ნაშრომს სტატიის სახით ვაქვეყნებთ ჩვენი ინსტიტუტის მოამბე „ამირანი“-ს ფურცლებზე.

პროფ. პაატა ბუხრაშვილი

შესავალი

კონკრეტული საკითხის კვლევისას, პირდაპირი ისტორიული წყაროს არ არსებობის გამო, მნიშვნელოვან როლს თამაშობს დოკუმენტური მასალების, სიგელ-გუჯრებისა და ხელოვნების ნიმუშებზე გაკეთებული წარწერების კრიტიკული ანალიზი.

რუსეთის კრემლის თოფხანის (Оружейная палата)[1] მუზეუმში წარმოდგენილია IV ს. – XX ს. დაახლოებით 4000 დეკორატიულ-სახვითი ხელოვნების ნიმუშები რუსეთის, ევროპისა და აღმოსავლეთ ქვეყნებიდან. მათ შორის, ერთ-ერთი, რომლის შესახებაც, სამწუხაროდ ჩვენთვის ამ დრომდე უცნობი იყო, გახლავთ ქართველი მეფის, არჩილ II-ის სახელზე შესრულებული „გულსაკიდი“, რომელსაც მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი, ქალბატონი სვეტლანა ზუზევა მიიჩნევს, როგორც არჩილ მეფის მიერ დამზადებულ პირად გულსაკიდს, თუმცა ქვემოთ გვექნება საუბარი და მსჯელობა, იმის შესახებ, რომ შესაძლებელია ეს იყოს მეფეთა მთავარი სიწმინდის, წინ საძღოლი ხატის ასლი, რომელიც არჩილ მეფეს რუსეთში წასვლისას თან წაუღია, ქვემოთ დეტალურად გვექნება საუბარი და ჩვენს ვარაუდს გავამყარებთ სამეცნიერო ლიტერატურაში მოპოვებული წყაროებით.

აღნიშნული ნაშრომის შექმნის ძირითად მიზანს წარმოადგენს, გარდა ახალი წყაროს სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანისა, ჩემთვის, როგორც ისტორიკოსისათვის, გულსაკიდის ზურგზე ამოტვიფრული ასომთავრული წარწერა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია გაეცეს პასუხი რამდენიმე კითხვას, კერძოდ:

ა) რატომ უნდა წაეღო არჩილ II-ს თან ოქონის საწინამძღვრო ხატ-ჯვარცმა რუსეთში;

ბ) რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს არჩილს II-ის შეკვეთით დამზადებულ, მოსკოვის კრემლის თოფხანაში დაცულ „ცხოვლის მყოფელ ოქონის ხატს“ ე. თაყაიშვილის მიერ აღწერილ მეფეთა მთავარ სიწმინდესთან, მეფეთა წინ საძღოლ – ოქონის ხატ-ჯვარცმასთან;

გ) წარწერაში მითითებული თარიღის მიხედვით შესაძლებელია იმის ვარაუდი, თუ რატომ არ გააკეთა მეფემ მთავარ სიწმინდეზე წარწერა, მაშინ როდესაც ხატის კედლებზე, „შუბლსა“ და

---

* მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს, პროფესორს, ბატონ პაატა ბუხრაშვილს, რომელმაც დამხარება გამიწია ნაშრომის შექმნაში და ნდობა გამომიცხადა და ამ დრომდე უცნობი, გამოუქვეყნებელი წყაროს მიმოქცევაში შემოსატანად აქტიურ დახმარებას მიწევდა.

„ზურგზე“ არსებული საქართველოს სამი მეფის (ქართლის მეფეები – შაჰ-ნავაზისა და გიორგი XI-ის, იმერეთის მეფის – გიორგი II-ის) და ოდიშის მთავრის – ლევან II დადიანის წარწერებია.

სამწუხაროდ, ჩვენ არ გვაქვს ხატის წინა მხარე, ვინაიდან ქალბატონი სვეტლანა ამ „გულსაკიდის“ (როგორც ის უწოდებს) შესახებ ამზადებს მოხსენებას. როგორც მან პირად მიმოწერაში გვითხრა, ის იკვლევს რუსეთში არსებული ქართველი მეფის, არჩილ II-ის მემკვიდრეობას, რომელიც ასახავს XVII საუკუნის საქართველოსა და რუსეთის პოლიტიკურ-კულტურულ ურთიერთობას, ასევე, არის თუ არა აღნიშნული „გულსაკიდი“ დამზადებული რუსეთში რუსი ხელოსნების მიერ და ა.შ. მოხსენება მარტში უნდა გამოქვეყნებულიყო და შესაბამისად ხატის წინა მხარეც ჩვენთვის ცნობილი გახდებოდა, რის შემდეგაც შესაძლებელი იქნებოდა მისი დეტალური აღწერა და ანალიზი. მაგრამ, გულდასაწყვეტია, რომ მოხსენების მომზადება წლის ბოლომდე ვერ დასრულდება, ამიტომაც დროში შეზღუდვის გამო, იძულებული ვიყავით, მხოლოდ ხატის წარწერითა და ქალბატონი სვეტლანა ზუზევას გულსაკიდის წინა პირის (ხატის) დახასიათებას დავყრდნობოდით და თქვენს წინაშე გამოგვეტანა ახალი, საინტერესო და მნიშვნელოვანი წყარო, არჩილ II-ის ქართული მემკვიდრეობა მოსკოვის თოფხანიდან, რომლის ანალიზიც, მიმაჩნია, რომ მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული მეფეთა წინ საძღოლ ოქონის ხატ-ჯვარცმასთან.

ნაშრომის პირველი თავი ეთმობა წარწერის აღწერას, დათარიღებას და ანალიზს, რა ინფორმაციას იძლევა აღნიშნული წყარო და რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს სამეცნიერო ლიტერატურაში გავცელებულ მთავარ სიწმინდესთან მეფეთ წინსაძღოლ აოქონის ხატ-ჯვარცმასთან.

ვინაიდან ხატი „ცხოვლის მყოფელ ოქონის ხატის“ სახელზეა დამზადებული, საჭიროდ მიგვაჩნია ნაშრომის მეორე თავი – „ოქონის ხატ{ებ}ი“-ს დავუთმოთ, სადაც მიმოვიხილავთ სამეცნიერო ლიტერატურაში ოქონის ხატ{ებ}თან დაკავშირებით გავცელებულ მოსაზრებებს, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია იმის ვარაუდი, რომ აღნიშნული „გულსაკიდი“ (ხატი) უნდა იყოს არჩილ მეფის მიერ მოსკოვში (1685-1688 წ.) თან წაღებული ოქონის მეფეთა საწინამძღვრო ხატ-ჯვარცმის საფუძველზე დამზადებული ასლი. ამ ვარაუდს ამყარებს, ქალბატონი სვეტლანას სიტყვები, რომ „გულსაკიდის“ (როგორც ის უწოდებს) შუაში გამოსახულია მაცხოვრის ჯვარცმა, ხოლო კარედებზე ბიბლიური სცენები. ექვთიმე თაყაიშვილის მეფეთა საწინამძღვრო ხატ-ჯვარცმის აღწერილობა ძალიან ჰგავს ზემოთ მოტანილ „გულსაკიდის“ დახა-

სიათებას, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი. ასევე, შევეცდებით, მსჯელობის შედეგად და „გულსაკიდის“ საშუალებით მიღებული ახალი ცნობების საშუალებით, ლოგიკური ახსნა და კავშირი მოვუძებნოთ ხატის სამცხეში „წინდად გაბარებას“, რომელიც მეცნიერთა აზრით „სახსრის“ შემოკლებას უკავშირდება.

მესამე თავში გვექნება საუბარი - არჩილ II-ის ცხოვრებისეული ისტორიების შესახებ, რომელიც აღნიშნული თემის კვლევას პირდაპირ თუ არა, ვფიქრობთ ირიბად მაინც უკავშირდება.

ლიტერატურის მიმოხილვა

ოქონის ხატის ირგვლივ აქტიური პოლემიკა ჯერ კიდევ XIX საუკუნის II ნახევრიდან დაიწყო. საქართველოში ოქონის ხატად რამდენიმე ხატი მოიაზრება, ზოგიერთი ღვთისმშობლის სახელობის ხატს მიიჩნევს, ზოგიც – მაცხოვრის, ასევე საქართველოში არაერთი ეკლესია და სოფელი არსებობს ოქონის სახელით თვით სიტყვის – ოქონის ეტიმოლოგიის განსაზღვრა მსჯელობის საგანი გახდა. პირველი ცნობა ოქონის ხატთან დაკავშირებით, ვახუშტი ბატონიშვილმა მოგვცა. იგი საკუთარ ნაშრომში ხატს ბაგრატ IV-ის ცოლის, ელენე დედოფლის მზითვად მოიხსენიებს, მაგრამ ამ საკითხზე დამატებით ცნობები არ აქვს მოყვანილი, რამაც გამოიწვია ცხარე კამათი მეცნიერთა შორის.

ოქონის ხატის პირველი მეცნიერული ანალიზი და საკითხის კვლევა ექვთიმე თაყაიშვილს უკავშირდება, ამის შესახებ მან გაზეთ „ივერიაში“ სტატია „ოქონის ხატი“ [14]. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის ალექსანდრე გარსევანიშვილიც [6], ვინაიდან როგორც ქვემოთ მოყვანილი გუჯარით დგინდება, ისინი (გარსევანიშვილები) საუკუნეების განმავლობაში ოქონის ხატის მტვირთველები იყვნენ, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი. ასევე, ვარაუდები ჰქონდათ მარი ბროსეს [6], დიმიტრი ბაქრაძეს, გიორგი საძაგლიშვილს, ასევე XIX აქტიურად ჩაერთო მოსკოვის არქეოლოგიური კომისიის თავმჯდომარე – გრაფინია პრასკოვია უვაროვა და სხვები. ასევე, ნაშრომის შედგენისას, მნიშვნელოვნად დამეხმარა იოსებ (სოსო) ალიმბარაშვილის ნაშრომი „ოქონის ხატ{ებ}ისა და ტაძრ{ები}ის ისტორიიდან“[1], სადაც დეტალურად არის განხილული თანამედროვე მკვლევართა მოსაზრებები, ასევე გამოქვეყნებულია წლების განმავლობაში არაერთი მეცნიერის მიერ შესწავლილი სიგელ-გუჯრების ანალიზი, რომელიც აღნიშნულ საკითხს უკავშირდება და ისტორიული ცნობების სიმწირის გამო მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

მეთოდოლოგია

ისევე, როგორც ყველა კვლევა ხორციელდება, წინასწარ ჩამოყალიბებული გეგმის მიხედვით, რისი საშუალებითაც იგი არის სისტემატური და ორგანიზებული.

ამ მხრივ, გამონაკლისს არც ჩემი ნაშრომი წარმოადგენს. მასალების სელექციის შემდეგ, კვლევითი მეთოდოლოგიების, შედარებითი მეთოდის საშუალებით მოვახდინე მათი შესწავლა.

ჩემი საკვლევი თემა, „ოქონის ხატი მოსკოვის თოფხანიდან“ მიმოქცევაში შემოგვაქვს უცნობი, ისტორიული წყარო, რომელიც სხვადასხვა მიზეზების გამო ამ დრომდე შეუსწავლელი იყო ქართველი მეცნიერების მიერ. მისი სიღრმისეული შესწავლისათვის, პირველ რიგში, გამოვიყენე აღწერითი მეთოდი, რომლის საშუალებითაც შევეცადე დამედგინა რა ინფორმაციას იძლევა აღნიშნული ხატის ზურგზე ამოტვიფრული წარწერა.

ჰიპოთეზების ჩამოსაყალიბებლად და მისი გენერირების მოსახდენად, მოძიებული მასალებისა და მოსაზებების საფუძველზე, საჭირო და რელევანტური, შედარებითი მეთოდის გამოყენებით, საშუალება მქონდა შეძლებისდაგვარად მიმეღწია კვლევის დასახულ მიზანს.

წარწერის აღწერა, დათარიღება და ანალიზი

„რაც მესმოდა, ან მენახა, ამბავი ვთქვი მე მართლები“*

ოქონის ხატის ირგვლივ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ XIX ს-ის II ნახევრიდან აქტიური პოლემიკა წარმოებდა ისეთ დიდ მეცნიერთა შორის, როგორებიც იყვნენ ექვთიმე თაყაიშვილი, ნიკო მარი, მარი ბროსე, ალ. გარსევანიშვილი და ა. შ. აღნიშნული საკითხით დაინტერესებას და კვლევის სირთულეს განაპირობებს, ის რომ, ვახუშტი ბატონიშვილი 4-ჯერ ახსენებს საკუთარ ნაშრომში, ოქონის ხატს, მაგრამ სამწუხაროდ არ გვაძლევს დამატებით ცნობებს, იმის შესახებ თუ რომელი წმინდანის სახელზე შუსრულებულ ხატს გულისხმობს. ამიტომ, მიმაჩნია, რომ მოსკოვის კრემლის თოფხანიდან ჩვენამდე მოღწეული, ქართველი საზოგადოებისთვის დღემდე უცნობი „გულსაკიდის“ (მეფეთა საწინამძღვრო ხატ-ჯვარცმის ასლის? - **ნ.დ.**) ზურგზე ამოტვიფრული ასომთავრული წარწერა მნიშვნელოვან ცნობას შეიცავს.

აღნიშნული წარწერის აღწერა, თარიღი და ანალიზი დაეხმარება ამ საკითხის კვლევით დაინტერესებულ ადამიანებს.

---

* ქართული ლიტერატურის ისტორია, გვ. 374

აღნიშნულ პანაღეაზე (ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს გულსაკიდ ხატს) სევადით შესრულებული ასომთავრული წარწერა იწყება შემდეგი სიტყვებით:

ᲒᲔᲥᲐᲜᲬᲚᲘᲡᲐ ᲥᲘᲠᲔᲥ, ᲧᲘᲠᲯᲜᲘᲗᲯᲘᲠ ᲯᲘᲥᲘᲚᲘᲡ ᲨᲘᲠᲘᲬᲡ, ᲨᲘᲨᲝᲥᲘᲡᲬᲚᲘᲡ ᲗᲘᲥᲘᲜᲘᲡᲗᲚᲘ, ᲯᲘᲥᲘᲡ ᲨᲘ ᲨᲚᲐᲬᲘᲡ ᲯᲘᲨᲘᲥᲘᲡ. ᲗᲚᲚᲘ ᲔᲐᲜ

(ცხოვლ{ი}ს მყოფელო ოქონის ხატო, შემწჰექმენ მეფესა არჩილს, დედოფალსა ქეთევანს, ძეთა და ასულთა მათთა. ქკს ტოვ)

(იხ. სურათი 1)

ამ ტექსტიდან ირკვევა, რომ ეს არის მეფე, არჩილ II-ის მიერ შეწირული გულსაკიდი, რადგან დაკონკრეტებულია მისი მეუღლის, ქეთევანის სახელიც და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მისი თარიღი.

ქორონიკონის **ტოვ** გაშიფვრის შედეგად იკითხება თარიღი: **ტ** – ძველ ქართულში შეესაბამება ასეულებს – 300-ს, **ო** – ათეულებს, ანუ 70-ს, ხოლო **ვ** – ერთეულებს, 6-ს. მარტივი, არითმეტიკული მოქმედების შედეგად გამოითვლება თარიღი, ანუ ქორონიკონი 376. (ქორონიკონის გაშიფვრა) (300+70+6=376) (იხ. სურათი 2).

780+532+376=1688

როგორც ქალბატონი სვეტლანა ზუზევა გვატყობინებს, მუზეუმში მოხვედრამდე აღნიშნული „გულსაკიდი“ ნიჟნი ნოვგოროდში არსებულ ერთ-ერთ ეკლესიაში ინახებოდა. როგორც ცნობილია, პეტრე I-მა 1700 წელს არჩილი და მისი ძე, ალექსანდრე დაასაჩუქრა ნიჟნი ნოვგოროდის [8:154] (ქალაქი გორკის) მაზრის მიწებით.

სამწუხაროდ, ჩვენ ხელთ არ გვაქვს გულსაკიდის წინა მხარე, ვინაიდან, როგორც ქალბატონმა სვეტლანამ მოგვახსენა[2] ის ამზადებს მოხსენებას და მის გამოქვეყნებამდე ჩვენთვის კიდევ ცოტა ხნის განმავლობაში იქნება საიდუმლო, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მან გვითხრა[3], რომ შუაში გამოსახულია მაცხოვრის ჯვარცმა, ხოლო კარედებზე ბიბლიური სცენები.

არჩილ მეფის სახელზე დამზადებული გულსაკიდი თავისი არსებობით მეტად მნიშვნელოვანია. გარდა იმისა, რომ მიმოქცევაში შემოდის აქამდე უცნობი წყარო, ამასთან ერთად საინტერესოა მისი ანალიზი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოქონის ხატს პირველად ვახუშტი ბატონიშვილი მოიხსენიებს, როგორც „ელენე დედოფლის მზითევს“, ხოლო აღნიშნული გულსაკიდი „ცხოვლის მყოფელ ოქონის ხატი“-ს სახელზეა დამზადებული, ქალბატონი ს. ზუზევას გადმოცემით ხატის შუა ნაწილში ჯვარცმაა გამოსახული, ხოლო კარედებზე ბიბლიური სცენები. როგორც ჩანს, „ვახუშტი ბატონიშვილი კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით მოიხსენიებს ელენე დედოფლის მზითვად ხატს, მაგრამ რომელს დაკონკრეტე-

ბული არ არის, რაც შეეხება ჩვენს წყაროს „ცხოვლის მყოფელი ოქონის ხატი“ არჩილ მეფის შეკვეთით არის დამზადებული და ამ სიტყვებით „ავტორი“ ალბათ უნებლიედ, მაგრამ ჯვარცმის ხატის უპირატესობას უსვამს ხაზს. რადგან მას „ცხოვლის მყოფელად“ მიიჩნევს. გასათვალისწნებელია არჩილ მეფის განათლება, როგორც საერო, ისე საეკლესიო კუთხით, ისიც რომ ვახუშტი ბატონიშვილი და არჩილი ერთმანეთის თანამედროვეები იყვნენ. როგორც უკვე აღვნიშნეთ გულსაკიდის უკანა მხარეს მოსახსენიებლის ბოლოში მითითებული არის თარიღი, რომელიც შეძლებისდაგვარად დაგვეხმარება წარწერის ანალიზში.

თავდაპირველად, აღნიშნული ხატის კვლევა დავიწყე, როგორც მეფის პირადი გულსაკიდის კუთხით, მაგრამ ჩემთვის, როგორც ისტორიკოსისათვის დამაფიქრებელია ხატის ზურგზე ამოტვიფრული წარწერა და მისი ქორონიკონი, რადგან ქორონიკონის მიხედვით მეფის შეკვეთით, აღნიშნული გულსაკიდი (ხატი) 1688 დაუმზადებიათ. მაშინ, როდესაც 1687 წელს ქართლის მეფის, გიორგი XI-ის დავალებით, მოსკოვში არჩილს ეწვია არქიმანდრიტი ლავრენტი, რომელიც არჩილს იწვევდა საქართველოში მუსულმანების წინააღმდეგ შეთანხმებული ძალით საბრძოლველად. არჩილი დათანხმდა, დახმარება (ფულითა და ჯარით) გამოითხოვა რუსეთის მთავრობისაგან; ხანგრძლივი მოლაპარაკების შედეგად სამგზავრო ხარჯებს გარდა მიიღო 5000 მანეთი და ორი უფროსი შვილის (ალექსანდრესა და მამუკას) თანხლებით 1688 წელს საქართველოში დაბრუნდა [2:168]. ამიტომაც, კითხვებს ბადებს ის გარემოება, რომ:

ა) ამ დაძაბულ პერიოდში მეფემ პირადი გულსაკიდის დასამზადებლად მოიცალა? თუ მას სხვა დატვირთვა ჰქონდეს, რასაც გვაფიქრებინებს არჩილ მეფის აქტიური კონტაქტები რუსეთის პატრიარქთან, ასევე ქართული სიწმინდის განადგურების შიშით საფიქრებელია, რომ სხვა სიწმინდეებთან ერთად, მას ოქონის მეფეთა საწინამძღვრო ხატ-ჯვარცმა მოსკოვში წასვლისას თან ჰქონოდა წაღებული. ამ ვარაუდს გარდა მოსკოვის კრემლის თოფხანაში დაცული გულსაკიდი („ოქონის ცხოვლის მყოფელი ხატი“) ასევე გვიმყარებს, სარგის კაკაბაძის ერთი ცნობა: „არჩილის იმერეთში ხელმეორედ გამეფებაც, პირველის მსგავსად ხანმოკლე აღმოჩნდა, რადგან ოსმალებმა მხარი დაუჭირეს იმერეთის კანონიერ მემკვიდრეს ბაგრატ IV უსინათლოს და არჩილიც არზრუმის ფაშის მიერ ძალით გარდაგდებული იქმნა. არჩილი ისევ ქართლს მოვიდა. მაშინ ყაენმაც ოსმალეთის მორიდებით მოითხოვა გიორგი XI-საგან, რომ ქართლში კვლავ შემოხიზნული არჩილ მეფე შეეპყრათ, ანდა საზღ-

ვარ გარედ გაედევნათ. ამისი მსმენელი არჩილი წავიდა დვალეთს, მაგრამ, როდესაც სპარსეთის მთავრობამ მოითხოვა აქედანაც მისი გაძევება, მაშინ ის იძულებული გახდა რუსეთს წასულიყო. თან მან წაიღო ქართლის მონასტრებიდან ქრისტეს სამსჭვალი, სუდარი და საბელი“ [15:76]. ამ მოსაზრებას ასევე ამყარებს ის, რომ მეფეთა მთავარ სიწმინზე გაკეთებული ქართლის მეფის, ვახტანგ V-ისა და მისი ძის, გიორგი XI-ის წარწერები, ამიტომ არჩილ მეფის ხელში მოხვედრა და მოსკოვში მისი წაღება აზრს მოკლებული არ უნდა იყოს. ასევე მიმოწერა რუსეთის სამეფო კართან, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ასევე, წარწერის მიხედვით შესაძლებელია იმის ვარაუდი, რომ:

ბ) აღნიშნული გულსაკიდი (ხატი), მეფემ, „ცხოვლის მყოფელ ოქონის ხატის“ სახელზე დაამზადებინა, ძნელი წარმოსადგენია, რომ თუ მას თან არ ექნებოდა წაღებული მეფეთა საწინამძღვრო ხატ-ჯვარცმა, რუსი ოსტატები მას როგორ დაუმზადებდნენ, რადგან ის ქართველ მეფეთა საწინამძღვროს წარმოადგენდა და საეჭვოა, ამის შესახებ საქართველოს ფარგლებს გარეთ მოღვაწე ოსტატებს ესე დეტალურად სცოდნოდათ. საფიქრებელია, რომ ამ ხატს პირადი დანიშნულების ნაცვლად, უფრო მნიშვნელოვანი დატვირთვა უნდა ჰქონოდა.

ჩვენი ვარაუდი უკავშირდება იმას, რომ არჩილ II-მ, როგორც ეს საბუთებიდან დგინდება, რუსეთის სამეფო კარს არაერთი წერილი გაუგზავნა, რომლითაც ითხოვდა შექმნილი მძიმე პოლიტიკური მდგომარეობისგან ქართული სიწმინდეების დაცვას. მარი ბროსეს მიერ მოტანილი კიდევ ერთი საინტერესო ცნობა, რომლითაც რუსეთს ატყობინებს მრავალი სიწმინდის წახდენის შესახებ: „საქართველო დიაღ შეწუხდა და დასუსტდა ქრისტიანობა და მოუძლურდა, გვარგე რამე, ამდენი საყდრები და მონასტრები, ამდენი პატიოსანი ხატი და ჯვარი, ამდენი წმინდანი ნაწილები დაკარგვას აპირობენ, სულ წახდენას აპირებენ, მოეხმარე, ნუ შეურაცხყოფ, დაგვიხსენ განსაცდელისა და საცდურისაგან“ [11:452]. ამ საკითხზე უფრო დეტალურად მესამე თავში გვექნება საუბარი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს მოსაზრება, იმასთან დაკავშირებით, რომ არჩილმა II-მ ქართული სიწმინდეები, წმინდა ნინოს ჯვარი, უფლის სამსჭვალი, „ოქონის ხატი“ და ალბათ კიდევ ბევრი სიწმინდე თან გაიყოლა რუსეთში, როგორც მეფეთა წინ საძღოლი ხატი-ჯვარცმა, რადგან მართლმადიდებელი რუსეთის ყურადღება ამ გზით მაინც მიეპყრო, „1685 წლის 14 დეკემბერს მეფე არჩილი მოსკოვში ჩასულა, სადაც დიდი პატივით მიუღიათ და ბრწყინვალედ გამასპინძლებიან. მან

იქ ორწელნახევარი გაატარა. მას მუდმივი კავშირი ჰქონდა თავის ძმასთან – ქართლის მეფე გიორგი XI-სთან, საქართველოს-პატრიარქ ნიკოლაოზთან და კახეთისა და იმერეთის თავადაზნაურობასთან“ [13:15]. აგრეთვე, საინტერესოა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ნიკოლაოზის წერილი „გიორგი XI-ის დავალებით სრულიად რუსეთის პატრიარქ – იოაკიმს მოსკოვში წერილი გაუგზავნა არქიმანდრიტ ლავრენტის ხელით, რომელშიც პატრიარქი ნიკოლაოზი სრულიად რუსეთის პატრიარქ იოაკიმს აცნობებდა თავის სამშობლოს მდგომარეობას და სთხოვდა, მეფე არჩილისათვის უარი არ ეთქვა დახმარებაზე. პატრიარქმა იოაკიმემ ეს წერილი 1687 წლის 15 ივლისს მიიღო, ხოლო არჩილ მეფის გულსაკიდი 1688 წლით არის დათარიღებული. ამ საკითხთან დაკავშირებით, კიდევ ერთ საინტერესო ცნობას იძლევა, არჩილ II-ის მიერ პეტრე I-ის წერილი: „სიკვდილი კაცისათვის დასვენებაა“. სიცოცხლეში მე ბევრი რამ გადავიტანე ქრისტეს სარწმუნოებისათვის. მისთვის მე გავიმეტე არა მარტო მიწიერი ჩემი სამეფო, ჩემი საყვარელი სამშობლო, უტკბესი ჩემი შვილები, არაერთხელ საკუთარი სიცოცხლეც კი...“ [13:38]. ამ ეტაპზე რთულია გავცეთ პასუხი რა კავშირი აქვს ამ ცნობებს ერთმანეთთან, მაგრამ საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს ვარაუდი, რომ შესაძლოა საქმე გვქონდეს გარკვეულ ჯაჭვთან, რომელიც სამომავლოდ საჭიროებს ღრმა და დეტალურ შესწავლას.

ექვთიმე თაყაიშვილისეული მეფეთა საწინამძღვრო ხატ-ჯვარცმის აღწერილბა, ძალიან ჰგავს ამ „გულსაკიდის“, ხატის აღწერილობას ქვემოთ დეტალურად გვექნება საუბარი. „გულსაკიდის“ ნახვისას განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ქორონიკონმა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ არჩილ მეფის წერილებიდან გამომდინარე და ექვთიმე თაყაიშვილისეული აღწერილობის დამთხვევის შემდეგ დიდი ალბათობით, ალბათ საქმე უნდა გვქონდეს რუსეთში დამზადებულ, ქართველ მეფეთა მთავარი სიწმინდის ასლთან, რომელიც საფიქრებელია, რომ არჩილ მეფეს რუსეთში თან წაუღია. ამის თქმის საშუალებას გვაძლევს ერთი საბუთი, მეფე არჩილის მიერ გაგზავნილი შეტყობინება რუს ხელმწიფისათვის, ამ თემაზე ცოტა მოგვიანებით ვისაუბრებთ.

ოქონის ხატ{ებ}ი

ოქონის ხატის შესახებ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე საკუთარი ვარაუდები ჰქონდათ ექვთიმე თაყაიშვილს, ნიკო მარს, მარი ბროსეს, დიმიტრი ბაქრაძეს, ალექსანდრე გარსევანიშვილს, (შემდგომში საქართველოს კათალიკოს პატრიარქს 1917-1918

წლებში) და ასევე აქტიურად ჩაერთო მოსკოვის არქეოლოგიური კომისიის თავმჯდომარე – გრაფინია პრასკოვია უვაროვა, გიორგი საძაგლიშვილს სხვებს.

პირველ თავში საუბარი იყო მოსკოვის კრემლის თოფხანიდან ამ დრომდე უცნობი არჩილ II-ის სახელზე დამზადებულ გულსაკიდის ზურგზე არსებული წარწერის აღწერა, თარიღსა და ანალიზზე, ხოლო ამ თავში მოკლედ მიმოვიხილავთ ოქონის ეტიმოლოგიის, ოქონის ხატებისა და ოქონის ეკლესიის შესახებ მეცნიერთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს.

არსებობს მოსაზრება, რომ სიტყვა „ოქონა“ [1:104] დაკავშირებული უნდა იყოს მის გეოგრაფიულ წარმოშობასთან, ანუ იკონიასთან, რადგან, როგორც ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“-ში, ოქონის ხატები ელენე დედოფლის „მზითევს“ წარმოადგენდა „...მოსცა სამსჭვალი უფლისა, ხატი ოქონისა და საუნჯენი მრავალი მზითვად“, ამიტომ საფიქრებელია, რომ სიტყვა „ოქონა“-მ კონკრეტული მნიშვნელობა მოგვიანებით შეიძინა და საუბარი არ უნდა იყოს კონკრეტულად რომელიმე ხატზე, რაზედაც დეტალურად ქვემოთ გვექნება საუბარი.

ოქონის ხატის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება გამოთქვა ბიზანტინოლოგმა თამარ მესხმა, მისი აზრით, გორის მფარველი ოქონის ხატი მთავარანგელოზის სახელობის უნდა ყოფილიყო, რადგან ბერძნულად „ოხონიატის“ [1:10] მთავარანგელოზის ეპითეტია. თავისთვად, აღნიშნული მოსაზრება ძალიან საინტერესოა, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოში არსებული ოქონის არც ეკლესია და არც ხატი მთავარანგელოზის სახელზე არ მოიძებნება.

ოქონის ხატს, ვახუშტი ბატონიშვილი თავის თხზულებაში, „აღწერა სამეფოსა საქართველოისა“-ში მოიხსენიებს, როდესაც მეფე, ვახტანგ V საკუთარი შვილისათვის ლევან დადიანს სთხოვს მის ასულს, „ხოლო ინება მეფემან მოყვანება დადიანის ასული ცოლად არჩილ ძისა თვისისათვის, მოითხოვა, მან მოსცა და დაიმზახლნენ. არამედ ჰყვა დადიანს ცოლი გლისპი და აიძულებდა ქმრისა თვისაა არა ყოფად ამისსა სიშორისათვის. უსმინა მანცა და მისცა ღოღობერიძეს ქალი იგი ცოლად“ [19:449].

სამწუხაროდ, ოქონის ხატის მომდევნო ხუთსაუკუნოვანი პერიოდის შესახებ ცნობები ჩვენამდე მოღწეული თითქმის არ არის. სამე იმაშია, რომ ოქონის სახელით ცნობილი იყო რამდენიმე ხატი. ასევე არაერთი ეკლესია აშენდა მის სახელზე საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. ყველაზე სრულყოფილი ინფორმაცია ამ მხრივ, ხატზე არსებული წარწერებიდან გამომდინარე, მაინც ქართველთა საწინამძღვრო ოქონის ხატ-ჯვარცმაზე მოიპოვება [1:14-15].

საქართველოში ოქონის ხატის სახელით რამდენიმე ხატია ცნობილი და ისინი სხვადასხვა კუთხეებში არსებულ ოქონის ტაძრებში იყვნენ დაბრძანებულნი. ოქონის ხატს ძალზედ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ერის ცხოვრებაში. იგი მოჰყადათ „თავდებად“ წყალობის, ნასყიდობის, სასისხლოს სიგელებში, მისი „მეოხებითა და შეწევნით“ ხდებოდა მიწების ყიდვა-გაყიდვა და ა. შ. ამავე დროს თავისი ძალითა და ფასეულობიდან გამომდინარე ყოველთვის იყო ქართველ მეფე-მთავართა ცილობის ობიექტი და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში „მოგზაურობდა“. ოქონის ხატი ერთ-ერთი უძველესია, საქართველოში მისი არსებობა ათამდე საუკუნეს ითვლის, მაგრამ მისი ისტორია ჯერ კიდევ შორეულ VI–VII საუკუნეში იწყება და თავდაპირველად სავანე იკონია, ანუ სამხრეთ ანატოლია ყოფილა. ალ. გარსევანიშვილის გადმოცემით, თავის დროზე ხატი მის შორეულ წინაპარებს ეკუთვნოდათ და მათთვის ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანე დიდს (527-565 წწ.) უწყალობებია. ანატოლიის დაპყრობის შემდეგ, ჰერაკლე კეისარს (610-642 წწ.) ოქონის ხატი კონსტანტინოპოლში გადაუსვენებია და ხატის მცველი გარსევანიშვილებიც თან წაუყვანია, ხოლო სახელი ხატის იკონიის მიხედვით მიუღია [1:12].

როგორც ცნობილია, ერთიანი საქართველოს მეფე – გიორგი I-სა (1014-1027 წწ.) და ბიზანტიის კეისარ – ბასილი II „ბულგართმმუსვრელს“ (976-1025 წწ.) შორის ტაოს მიწების გამო ხანგრძლივი დაპირისპირება 1023 წლის ზავით დასრულდა, მაგრამ მშვიდობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ბასილის გარდაცვალების შემდეგ, ბიზანტიის კეისრის ტახტი დაიკავა კონსტანტინე VIII-მ (1025-1028 წწ.). მალე (1027 წ.) სრულიად ახალგაზრდა ასაკში გარდაიცვალა გიორგი I და ერთიანი საქართველოს მეფე გახდა 9 წლის ბაგრატ IV (1027-1072). მეფის მცირეწლოვნობით ისარგებლეს ტაოელმა დიდებულებმა ვაჩე კარიჭისძემ, იოანე ბანელმა და სხვებმა, კონსტანტინე კეისრისაგან დახმარებაც მიიღეს და ქვეყანა მოარბიეს. ამასობაში კონსტანტინეც გარდაიცავალა და ბიზანტიის კეისარი გახდა რომანოზ III არგასი/არგიროსი), რომელსაც ცოლად კონსტანტინეს ასული ზოია ჰყავდა.

ორ ქვეყანას შორის მშვიდობის დასამყარებლად 1031 წელს ბაგრატის დედა – დედოფალი მარიამი, მცირეწლოვან ბაგრატთან ერთად ბიზანტიაში მიემგზავრება. 1032 წელს საქართველო-ბიზანტიას შორის იდება ზავი. ბაგრატი იღებს კურაპალატობის ტიტულს და ცოლად რთავენ რომანოზ III-ის ძმას – ბასილის ასულს – ელენეს. საქართველოში გამოსამგზავრებლად ელენეს, ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, მზითევში მოჰყვა „სამსჭუალი

უფლისა და ხატი [1:13] ოქონისა და საუნჯე მრავალი“. ვახუშტი არ აკონკრეტებს რას გულისხმობს „საუნჯე მრავალში“, მაგრამ ბიზანტიელ კეისართა მიერ ნაბოძებ სიმდიდრეზე გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს 1040 წლის ბაგრატ კურაპალატის (ბაგრატ IV-ის) თავნაკლული გუჯარი. სვეტიცხოვლისადმი შეწირულობის წიგნში საქართველოს მეფე აღნიშნავს:

დაუსვენე ხატი ოქონისა, რომელი მიბოძა კონსტანტინე ბერძენთა მეფემან და სამარტვილოსავე შიგან დაუსვენე ხატი {ესე} წმინდისა ღვთის მშობლისა, შემკობილი ოქროითა, თვალითა და მარგალიტითა, რომელი მიბოძა ვასილი {ბერძენთა} მეფემან და ხატი ესე დიდი მაცხოვრისა სა{როთი}თა და გარშემო თვლითა შემკობილი {და სხუა ხატი მაცხოვრისა} ვერცხლისა ოქროითა ცურვებული და ხატი იოანე-ნათლისმცემლისა {იოვანესი საროთითა შექმნილი} ოქროითა და ვერცხლითა შეჭედილნი ...მწვანე და კვერცხის {ბოლო} მანიაკი ბერძნული ოქროისა ბერძენთა მეფისა რომანოზისა ბოძებული...

და სხვა [1:13-14]. ალ. გარსევანიშვილის გადმოცემით, ელენე დედოფალს საქართველოში გამოჰყვა მისი მოძღვარი – დეკანოზი ფილიმონი, რომელმაც სათავე დაუდო ქართველი გარსევანიშვილების ისტორიას [1:14].

მარი ბროსეს, დიმიტრი ბაქრაძეს, ალექსანდრე გარსევანიშვილს, პრასკოვია უვაროვასა და სხვებს შორის, პოლემიკა ოქონის ხატის „ნამდვილობის“ შესახებ, ძირითადად, სამი ხატის (ერთი გორის და ორიც – სოფ. ოქონის) ირგვლივ მიმდინარეობდა.

სოფელ ოქონის ეკლესიაში ყოფილა ორი ხატი. ერთი – ღვთისმშობლის ჭედური, მდარე ნახელავი, ხოლო მეორე – სპილოს ძვლის, მაცხოვრის გამოსახულებით. მასზე მოგვიანებით ხუცური წარწერა გაუკეთებინებია კათალიკოზ – ევდემონ დიასამიძეს: „ოქონის ხატო შეიწყალე კათალიკოსი ევდემონ უღირსი ამინ“.

სწორედ ეს ორი ხატი უნახავს გრაფინია პრასკოვია უვაროვას 1890 წლის 20 სექტემბერს, თუმცა წარწერა ვერ გაურჩევია. უვაროვას ცნობები ჩვენთვის იმდენად მნიშვნელოვანია, რამდენადაც, ოქონის სამივე ხატი (ერთი გორში, ორი – სოფ. ოქონაში), რადგან ეს ხატები მას საკუთარი თვალით აქვს ნანახი [1:30].

„ელენე დედოფლის მიერ ჩამოტანილ სხვა განძეულთან ერთად, მართლაც, მოიხსენიება ოქონის ხატი, მაგრამ მისი გამოსახულება დაკონკრეტებული არ არის“. „... მოსცა სამსჭვალი უფლისა, ხატი ოქონისა და საუნჯენი მრავალი მზითვად“. პ. უვაროვას გარდა არსებობდა სხვა მოსაზრებებიც. დ. ბაქრაძის მიხედვით, ეს არის ღვთისმშობლის ხატი, ექ. თაყაიშვილის კი მას ჯვარცმის ხატად მიიჩნევდა. ამდენად სპილოს ძვლის ტრიპტიქონის დაკავშირება ელენე დედოფლის მიერ ჩამოტანილ ოქონის ხატთან, მთლად გამართლებული არ უნდა იყოს“ – აღნიშნავს საკუთარ სტატიაში ქალბატონი ლეილა ხუსკივაძე [22:48].

ამას ემატება ისიც, რომ ა. გოლდშმიტი და კ. ვეიცმანი ასახელებენ მას იმ რელიეფებს შორის, რომლებიც „აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რაიონშია გაკეთებული, ალბათ საქართველოში“. არც ქალბატონი ლეილა გამორიცხავს, რომ ზოგადი განწყობიდან გამომდინარე მის შესრულებას საქართველოს ტერიტორიაზე. თუმცა შერსულების სტილი მთლიანად ბიზანტიურ პრინციპებსაა დაქვემდებარებული და – იგი X-XI-ს ბიზანტიური ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშია [22:48].

ხატის აღწერილობა და წარწერების მეცნიერული ანალიზი პირველად განახორციელა – ექვთიმე თაყაიშვილმა. მან ავთენტურობის თვალსაზრისით, ოქონის ხატებში უპირატესობა საწინამძღვრო ხატს მიანიჭა. „ექვთიმე თაყაიშვილი მიიჩნევდა, რომ „ნამდვილ ოქონის ხატთან, ესე იგი იმ ხატთან, რომელიც იხსენიება ვახტანგ VI-ის სიგელში, საერთო არაფერი აქვს არც გორში დაცულ ხატს, ოქონის ხატად წოდებულს და არც სოფ. ოქონის ახალ ეკლესიის ხატებს, რომელზედაც გრაფინია უვაროვა მოგვითხრობს. ნამდვილ ოქონის ხატად ჩვენ მიგვაჩნია ხატი, რომლის აღწერას ქვემოთ ვუდგენთ მკითხველს. ამით ჩვენ იმას არ ვამტკიცებთ, რომ ჩვენ მიერ აღწერილი ხატი უსათუოდ ელენე დედოფალს მოჰყოლოდეს საბერძნეთით, ამის უტყუარ საბუთებს ხატის წარწერები არ გვაძლევს, მხოლოდ ეს კი ეჭვ მიუტანელია, რომ ვახტანგ მეექვსის სიგელში მოხსენიებული ხატი ნამდვილად ის ხატია, რომელზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი. ეს ხატი ძველი დროიდგან წინ უძღოდა ქართველთ მეფეებს ომში, ცნობილი იყო ოქონის ხატად, და მისი მტვირთველობა ომის დროს და დეკანოზობა ზავის დროს ებარა გარსევანიშვილების გვარს [13:2]. იგი ნამდვილ ოქონის ხატად მიიჩნევს ქართველ მეფეთა საწინამძღვრო ოქონის ხატ-ჯვარცმას და მის დეტალურ აღწერილობას გვაძლევს: „ოქონის ხატის საფუძველს შეადგენენ ნაწილები წმინდანებისა რიცხვით 80, რომელნიც უჯრებად არიან დაყოფილნი და თითოეულს წმინდანის ნაწილს თავის ბუდე აქვს. ამათში ურევია თვით სამსჭვალიც უფლისა პატარა ოქროს მინანქრიან სვეტის მსგავსს ბუდეში ჩასმული. ვახუშტის თქმულება სამსჭვალის შესახებ შეიძლება ამას ეხებოდეს. ნაწილების მეორე გვერდძედ, ვერცლის ფიცარზე, თითოეულს ნაწილს წარწერა აქვს მშვენიერის ასომთავრულით, თუ რომელი ნაწილი რომელ წმინდანს ეკუთვნის, მხოლოდ მცირეოდენი ნაწილებია მარცხნივ დარჩენილი, რომელთაც წარწერები არა აქვთ. ნაწილების წინა პირს დაფარებული აქვს მინა და მინას ზემოდ ხატი ჯვარცმისა ოქროსი, ამობერვით ნაჭედი, სიგრძით 6 გოჯი და სიგანით 4. ხატი თავისის შინაარსით განიყოფება ორ

ნაწილად, ზემო ნაწილზე ჯვარცმაა წარმოდგენილი სრული ჩვეულებრივი „ატრიბუტებით“. შუაში ჯვარცმული, თავში ორივე მხრით ანგელოზები, აქეთ-იქით შუა ჯვარის ნაწილისა მზე და მთავრე, მარჯვნივ და მარცხნივ ჯვარცმულისა იოანე და ღვთისმშობელი, ქვემოთ ადამის თავი და სხვა. ქვემო ნაწილზედ ხატისა შუაში მთავარ-ანგელოზია გამოხატული, მარჯვნივ წმიდა დიმიტრი და მარცხნივ წმიდა გიორგი. წმიდა დიმიტრი და წმიდა გიორგი შეიარაღებულათ არიან წარმოდგენილნი უცხენოთ, სურათის მაჩვენებელი წარწერები ასო-მთავრულებია, ხატი მდიდრათ არის შემკობილი სხვა-სხვა ძვირფასი ქვებით მარგალიტებით ზურმუხტებით, ფირუზებით, ლალებით და სხვა, სულ 65 ძვირფასი ქვა უზის, ხელოვნურად ჩაწყობილი. მედალიონის მსგავსი სიმრკვლე შუაში მარცხნივ კედრით ძვირფასი ქვებით შემკობილი ფრიად ლამაზია. საზოგადოდ მთელი ხატი მშვენიერი ნახელავია და ეკუთვნის საუკეთესო დროს ხელოვნებისას. ეს ჯვარცმის ხატი თავის ნაწილებითურთ ჩასვენებულია მოზრდილ ოქროს დაფერილ ვერცხლის კუბოში, რომლის ქინა პირზედ გამოხატულია ჯვარი. შუაში კუბო იხსნება თანასწორი კარებით ხატის ჩასასვენებლად. ზემოთ კუბოზედ მობმულია გრძელი და მომსხო ვერცხლის ძეწკვი, რომლითაც ხატს ჯვრის მტვირთველი ჩამოიკიდებდა ყელზედ და ძეწკვს შემოიხოვდა წელზედ სარტყლის მსგავსად. ხატი თავის კუბოთი და საბმულით საკმაოდ მძიმეა. უძველეს ნაწილად ხატისა ჩვენ მიგვაჩნია წმიდანების ნაწილები თავისი საერთო უჯრით. შესაძლებელია ელენე დედოფალს ეს ნაწილები მოჰყოლოდა საბერძნეთიდგან. თვით ნაჭედი ხატის ხელობა ქართულია საუკეთესო დროისა და წარწერებიც ასო-მთავრული აქვს. შეიძლება წინად ნაწილებს თავს ეფარა სხვა ხატი ბიზანტიურის ხელოვნებისა, მაგრამ დროთა ვითარების გამო, ჩვენამდის არ მოაღწია და მტრების მიერ განიძარცვა. იმ აუარებელ ტყვევნა-რბევაში, რომელიც საქართველომ გამოიარა, ეს ადვილად წარმოსადგენია“. ოქონის ხატს და მის ბუდეს ამკობენ მრავალ გვარი წარწერები სხვა-სხვა დროისა” [13:2-3].

ოქონის „წინამძღოლი“ ხატი, მეცნიერ ექვთიმე თაყაიშვილის მიერ არა მხოლოდ მოძიება-აღწერის საგნად იქცა, არამედ მან, როგორც საქართველოს „მეჭურჭლეთუხუცესმა“ აღნიშნული ხატი, სხვა სიწმინდეებთან ერთად 1921 წელს პარიზში წაიღო [1:46].

საინტერესო ინფორმაციას შეიცვას, ექვთიმე თაყაიშვილის პირად არქივში მოძიებული ცნობა. ხატის აღწერილობით ნაწილში მეცნიერი აღნიშნავს, რომ ჯვარზე ყოფილა ბერძნული წარწერა – „IHRI”, ხოლო მის კიდეებზე - „X̅CX̅C HNKA“, ქვემოთ-ქარაგმით: „ი̅ო ქ̅ე მ̅ე ი̅ა“. როგორც ქართული, ისე ბერძნული წარწერები შემდეგნაირად უნდა გაიშიფროს: „იესო ქრისტე მეფე იუდეველთა“; „იესო ქრისტე“, „იესო ქრისტეს ძლევა“ [1:45].

განძეულის სიაში ოქონის ხატი მონიშნულია 52 ნომრით და შემდეგნაირად არის ფორმულირებული: „ოქონის ხატი (კარედი) „ოქონის მაცხოვარი“ ჯვარცმის, იოანე ნათლისმცემლის, წმ. გიორგისა და წმ. დიმიტრის გამოსახულებებით. შემკულია ძვირფასი თვლებითა და მარგალიტებით, აკლია მხოლოდ ერთი ობოლი მარგალიტი. ხატი დასვენებულია ოქროსკარებიან კუბოში. შიგნით მოთავსებულია წმინდანთა ნაწილები, მინანქრისა და ოქროს ცალკეული შემკულობებით“ [1:47].

ხატის მარჯვენა მხარეს კიდეზე ხუცური წარწერაა:

წ. ღ {ვთ}ისა სიტყუ{ა}ო ხ{ა}ტისა შ{ე}ნისა ხს{ნ}ისათვის კაცთათვისა მიმღებ{ე}ლო ხ{ა}ტისა ამის შ[ე}ნისა, ტრფიალ{ე}ბ{ი}თა მ{ა}თ მ{იე}რ მ{ა}მკ(ო}ბ{ე}ლი, მ{ე}ფ{ე}თმ{ე}ფე გ{იორგ}ი ნუმცა ვიქც{ე}ვი შ{ე}ნგან სირცხვილ{ე}ული ამინ [1:37]

„აღნიშნულ წარწერაში მინიშნებული არ არის, რომელ მეფე გიორგიზეა საუბარი, ამ საკითზე ექვთიმე თაყაიშვილს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში მოსაზრება გამოუთქვამს, რომ იგი მოხსენიებული მეფე გიორგი – გიორგი XI უნდა იყოს (1675-1688, 1703-1709 წწ.) [1:38]. ასევე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხატი ოდიშართაგან ვახტანგ V-მ გამოიხსნა, ხოლო გიორგი XI მისი მემკვიდრე და ქართლის მომდევნო მეფე იყო და ოქონის, ბუნებრივია ოქონის მეფეთა საწინამძღვრო ხატის მემკვიდრეობაც მასზე გადავიდოდა. ე.წ. „ორიანობის“ პერიოდში, გიორგი XI იძულებული გახდა ხატი „წინდად“ გაებარებინა მესხეთში და მისი ქართლში დაბრუნება, მხოლოდ გირაოს გადახდის შემდეგ გახდა შესაძლებელი. წარწერის პირველ ნაწილში „ხატისა შენი ხსნისათვის“ ამ ამბავს უნდა უკავშირდებოდეს, ხოლო დასკვნით ნაწილში მინიშნება „მეფეთმეფე გიორგი ნუმცა ვიქნები შენგან სირცხვილეული“ მეფის ერთგვარი მონანიება და შენდობის თხოვნაა ხატის მიმართ მისი მიზეზით გადატანილი ძნელბედობის გამო“ [1:39]. ჩემი აზრით **(ნ.დ)**, აქ შესაძლებელია გიორგი XI გულისხმობდეს, იმას რომ მან წმინდა ხატის „გაბარება“ არ უნა მომხადრიყო „გამოსასყიდისა“ და „სახსრის“ შემოკლების მიზნით, არამედ ეს უფრო თავდაცვითი ხასიათის უნდა ყოფილიყო, რადგან, როგორც ცნობილია ირანის შაჰმა გიორგი XI-ს უსაყვედურა არჩილ II-ის ხშირი სტუმრობისათვის სამცხეში და მისი შეპყრობა სცადა. აზრს არ უნდა იყოს მოკლებული ჩვენი ვარაუდი, რომ ამით მათ დაიცვეს (ვინაიდან სამცხეში ოსმალებს პოზიციები გამყარებული ჰქონდათ, ამ მხრივ მშვიდი სიტუაცია იყო და ხატიც მეფისათვის სანდო პირს ექნებოდა გადაცემული) (მიაბარა მეფისათვის სანდო პირს, რადგან თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 1682-1688 წლებში არჩილს შესაძ-

ლოა თან ჰქონდა წაღებული რუსეთში, რასაც გვაფიქრებინებს მოსკოვის კრემლის მუზეუმში დაცული არჩილ მეფის „გულსაკიდი“ წარწერითა და თარიღით **ნ.დ.**), ასევე გამგზავრებისას და იქიდან დაბრუნებულს მერე სამცხეში მართალია თავდაცვის მიზნით, მაგრამ ის არც მეფის ხელში იყო, როგორც უნდა ყოფილიყო და არც გარსევანიშვილების ხელში, ამას უნდა ეხმაურებოდეს გიორგის მიერ არჩილის მოწვევა და გულსაკიდის თარიღიც).

ხატის თავზე კიდევ ერთი გიორგი მეფის მიერ გაკეთებული სხვა წარწერაა. როგორც ითქვა, ოქონის საწინამძღვრო ხატი ოფშკვითის ბრძოლის შემდეგ, ერთი ხანობა იმერელ-ოდიშართა ხელშია. საფიქრებელია, რომ ხატი მანამდეც ნამყოფია დასავლეთ საქართველოში. ჩარჩოს თავზე ამოკაწრული ნუსხური წარწერაა:

ქ{რისტ}ე ადიდე მ{ე}ფ{ე}თ მეფე გ{იორგ}ი, დ{ედო}ფ{ალ}ი დ{ედო}ფ{ალ}ი რ{უ} სუდ{ა}ნ, ძე მ{ა}თი ბ{ა}გრ{ა}ტ.[4]

ხატზე არსებული იმერეთის მეფის წარწერა და ექვთიმე თაყაიშვილის კომენტარი იძლევა კიდევ ერთ ცნობას, იმის შესახებ, რომ ოქონის „წინამძღოლი“ ხატი იმერეთში ოფშკვითის ბრძოლამდეც ყოფილა, სხვანაირად იმერეთში მეფე მასზე 1565-1578 წლებში წარწერას ვერ გააკეთებდა. ეს პერიოდი მართლაც სვიმონ I-ის პირველ ტყვეობას (1569-1578 წწ.) ემთხვევა. ამ პერიოდში ქართლს, ჯერ ყიზილბაშთა, მერე ოსმალთა რენეგატი, სიმონის გამაჰმადიანებული ძმა – დაუდ-ხანი მართავდა, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობაში დიდი სიმპათიებით ვერ სარგებლობდა და ადვილი შესაძლებელია ქართველთა ერთ-ერთი მთავარი სიწმინდე იმერეთის მეფის ხელში შეგნებულადაც მოხვედრილიყო [1:40].

სამეგრელოს მთავარი 1611 წლიდან ლევან II დადიანი (1611-1657 წწ.) ხდება. იგი ხშირად ლაშქრობდა იმერეთში ტყვე-ნადავლის დაუფლების მიზნით და წარმატებასაც აღწევდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შესაძლოა, ერთ-ერთი ლაშქრობისას, მას იმერეთიდან ოქონის ხატიც წაეღო, ამ მამისაგან მიეღო მემკვიდრეობით. წარწერაში იგი თავისი გარდაცალებული მეუღლის სულს ავედრებს ხატს.[5]

სამეგრელოდან გამოხსნილი ხატი შაჰ-ნავაზს მეორედ შეუმკია, რასაც მეფის ორი წარწერაც ადასტურებს. აქედან, ერთი ასომთავრული (კარედის „შუბლზე“), ხოლო მეორე – მხედრული (კარედებზე). პირველ წარწერაში ვახტანგ V მის განახლებაზე მიუთითებს:

ქ. ჩუენ ღვთივ გვ{ი}რგ{ვ}ინოს{ა}ნმან და შენ მიერვე ძლ{ე}ვა მოცემულმ{ა}ნ მეფ{ე}მან შანავ{ა}ზ მეორედ შევამკვე ოქონის ხატის კუბოჲ ესე ოქოროთჲ ჩუენდა სადღეგრძელოდ და მეფობისა ჩუენისა წარსამართებლად და ძეთა ჩუენთა აღორძინებად რათა მეოხ და მფარ-ვ{ე}ლ გუეყოს ჩუენ ა{მინ} [1:41].

მეორე წარწერა შინაარსით ყველაზე ვრცელია და გარკვეულწილად მის ისტორიასაც გადმოგვცემს:

ქ. შენ სამოსისო, სამზეო, სამ ნათელო, თვისებაო სამგ{ვ}ამოვანო, თვით განსწმენდილო და ყოველთა გამწმენდელო, ერთ უფლებაო, ერთ ხელმწიფებაო, ერთ ძლიერებაო, უხილაო უსაზღვროო, გარშემოუწერელო სიტკბოება მიუწვდომელო, წყალობა აურაცხელო, თიხა შემზელელო და ცხოვლად მომყუანელო, პირველსა მის ჩვენისა ადამისაო, რომელ მართებდა განგებად ამის ყოფითა ცასა და ქვეყანასა დაბადებულსა და დაუბადებელსა, ხილულისა და უხილავისა, მსხემისა და უსხეულოსა, ციურისა და მიწიერისა, მის ყოველთა ხელმწიფედ მპყრობელ მქონებელო, რომელი ზი უკვდავი ღ-თი ღ-თად, რომელმან მოავლინე ერთი წმინდის სამებისაგანი და კაც იქმენ უქცეველად, საშო ქალწულისა დაიმკვიდრე და აღიზარდე კაცთა შორის და წესი ყოველ რჯულისა აღასრულე, თვინიერ ცოდვისა ჯვარცმა და სიკვდილი თავ იდევ, ჯოჯოხეთი წარმოსტყუენე და აღსდექ მესამესა დღესა, ამ{ა}ღლდი ზედაც და მჯდომარე ხარ მ{ა}რჯვენითა მამისსა და აწ შენ ხატო ღ თებისა და მაცხოვარო ოქონისაო, ჩვენ ცვაფარვათა შენთა მონდობილმან და მოსავმან წმინდისა სახელისა შენისამან ხელმწიფემან მეფემან პატრონმან შანავაზ მოვაჭედინეთ კუბო ესე ოქროსა მას ჟამსა ოდეს ჟამთა ვითარებისაგან დატყვევებული იყო და ოდიშს ჩამო{ე}ტანათ. როდეს ჩვენ იმერეთი და იდიში დავიპყარით საქართველოს სამკვიდრო იყო და საფიცარი წამოვასვენეთ და თავისა სამკვიდრებელსა ტაძარში დავასვენეთ მის დღეში მეფეთ წინ საძღომი და სასოება და მოვსჭედეთ ჩვენ სადღეგრძელოდ მეფობის ჩვენისა წარსამართებლად და ცოდვილისა სულისა ჩვენისა სახსრად და საოხად და დღესა მას საუკუნოსა სასჯელისაგან ამინ. ქ̃კს ტნჰ და მივაბარეთ თავის დეკანოზს გარსევანს როგორც ძველიდგან ყოფილიყო ისე“ [1:41].

„გაშლილ მდგომარეობაში, ხატის კარედებზე ვახტანგ V შაჰნავაზის (1658-1675 წწ.) ვრცელი მხედრული წარწერაა, ხოლო დახურულ მდგომარეობაში, ცენტრალურ ნაწილში მოთავსებულია დიდი ჯვარი, რომლის ირგვლივ, ასევე ვახტანგ V-ის ასომთავრული წარწერაა ამოტვიფრული“. ამ ხატის მთავარ ღირსებას, მაცხოვრის სამსჭვალთან ერთად, წარმოადგენენ წმინდანთა ნაწილები, რაოდენობით – 80. თითოეული მათგანი უჯრებადაა დაყოფილი და ზედ ასომთავრული ქარაგმებიანი წარწერები უზის. მხოლოდ მარჯვენა მხარის 12 უჯრაა დარჩენილი წარწერის გარეშე. დანარჩენებზე გარკვევითაა მითითებული, თუ რომელ უჯრაში რომელი წმინდანის ნაწილია მოთავსებული. ეს სიწმინდეება: „ყოვლადწმინდის თმა, ქრისტეს სისხლით შემკული“, „მაცხოვრის წვერი“, „წმ. ბარბარეს ნეკი“, „მაცხოვრის თოკო“, „ძელი ჭეშმარიტი“, „წმ. გიორგის, დიმიტრის, ევსტათის, კვირიკეს, პანტელეიმონის, ირინეს, მარინას, ანდრიას, ოქროპირის, იოანე ნათლისმცემლის წმინდა ნაწილები - თმა, შესამოსელი, ძვალი, სისხლი და ა.შ. ამასთან დაკავშირებით

ექვთიმე თაყაიშვილს ანგარიშ-გასაწევი არგუმენტები მოჰყავს ოქონის „წინამძღოლი“ ხატის ბიზანტიურ წარმომავლობასთან დაკავშირებით. ოქონი მეფეთა წინ-საძღოლი ხატის დეტალური აღწერისა და შესწავლის შედეგად, მეცნიერი მიიჩნევს, რომ ეჭვი, რამაც შესაძლოა ამ ხატის ბერძნულ წარმომავლობასთან დაკავშირებით წარმოიშვას, ხატზე თანდართული ასომთავრული და ხუცური წარწერებია, მაგრამ „დაკვირვებული თვალი ადვილად შეამჩნევს, რომ ეს წარწერები ხატს მოგვიანებით - დაახლოებით XIV-XV საუკუნეებშია გაკეთებული“ [14:2].

აღნიშნული ხატი დღეისათვის საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ოქროს ფონდშია დაცული. სიმაღლით დაახლ. 34 სმ-ია, სიგანით – 24 სმ, ხოლო სისქით – 5.5 სმ. მთლიანად მოჭედილია ოქროთი და ძვირფასი თვლებით. ხატს უხვად ამკობს სხვადასხვა დროის ქართველ მეფე-მთავართა წარწერები [1:36].

რაც შეეხება ხატის მოოქროვილ კუბოსა და მასში არსებულ წმინდა ნაწილებს: „ყოვლადწმინდის თმა, ქრისტეს სისხლით შემკული“, „მაცხოვრის წვერი“, „წმ. ბარბარეს ნეკი“, ძვირფასი თვლებით მოჭედილი მედალიონი და სხვა. აშკარად ბიზანტიური წარმომავლობისაა. ისიც ცნობილია, რომ, როგორც წესი, წმ. ნაწილები საქართველოში ბიზანტიიდან იგზავნებოდა. „შესაძლოა, ხატის ოქროს კუბო, წმ. ნაწილებთან ერთად, სწორედ ელენე დედოფლის მზითევი ყოფილიყო, მაგრამ ყალიბი და წმ. ნაწილების განლაგება მოგვაინებით ქართველი ოსტატის ნახელავი იყოს. ამაზე მიუთითებს ხატსა და მის კუბოზე არსებული წარწერების აშკარად განსხვავებული სტილი და ხასიათი. გამორიცხული არც ისაა, კუბო ადრე დაფარული ყოფილიყო ბიზანტიური წარმომავლობის ხატით, მაგრამ იგი დაიკარგა და მოგვიანებით ქართულით შეცვალეს. ეს ადვილი წარმოსადგენია, რადგან აღნიშნული ხატი ქართულ ლაშქარს ბრძოლებში ყოველთვის წინს უძღოდა და შესაძლოა მტრის ხელში მოხვედრილიყო“ [1:44] – აღნიშნავდა ექვთიმე თაყაიშვილი.

დღეისათვის მართლაც ძნელია იმის მტკიცება, ქართველ მეფეთა საწინამძღვრო ოქონის ჯვარცმა დედოფალ ელენეს მზითევია თუ არა, მაგრამ ვახუშტი ბატონიშვილის მიერ აღწერილ ოქონის ხატის ისტორიას (ოფშკვითის ბრძოლაში „დატყვევება“, შაჰ-ნავაზის მიერ გამოხსნა და გიორგი XI-ს მიერ სამცხეში „წინდად“ გაბარება) და ვახტანგ VI-ის მიერ გიორგი და იესე გარსევანიშვილებისადმი 1717 წელს გაცემული წყალობის სიგელში, რომ აღნიშნულ ხატზეა საუბარი, უდავოა.

მოცემული არგუმენტებიდან გამომდინარე, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ექვთიმე თაყაიშვილისეულ გამოთქმულ მოსაზრებას, რადგან:

1) „ხატის კედლებზე, „შუბლსა“ და „ზურგზე“ არსებული საქართველოს სამი მეფის (ქართლის მეფეები - შაჰ-ნავაზი და გიორგი XI, იმერეთის მეფე – გიორგი II) და ოდიშის მთავრის – ლევან II დადიანის წარწერები და მინიშნებები, თვით მაცხოვრის სამსჭვალი, სხვა წმინდა ნაწილებთან ერთად.

2) არსებული დოკუმენტური მასალიდან ოქონის ხატის შესახებ სრულყოფილ ინფორმაციას ვახტანგ VI-ის 1717 წლის იასე და გიორგი გარსევანიშვილებისადმი გაცემული სიგელი იძლევა, რომელშიც დანამდვილებით შეიძლება ითქვას ოქონის მეფეთა საწინამძღვრო ხატზეა საუბარი;

3) ვახუშტი ბატონიშვილი თავის ნაშრომში ოქონის ხატს სულ ოთხჯერ ახსენებს.

აქედან, მინიმუმ სამ შემთხვევაში საუბარი მეფეთა საწინამძღვრო ხატზეა, რაც ხატის წარწერების შინაარსითაც დასტურდება [1:49].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „მეფეთა წინ საძღოლი“ ხატი 1724 წლიდან XIX ს-ის ბოლომდე რუსეთში იმყოფებოდა და დ. ბაქრაძესა და მ. ბორსეს იგი ნანახი არ ჰქონდათ. მარი ბროსე, ოქონის ტაძრის აღწერისას ეყრდნობოდა დ. მეღვინეთუხუცესიშვილის ფრონეს ხეობის არქეოლოგიურ მოგზაურობის ჩანაწერებს. რომელიც 1847-1848 წლებში განხორციელდა, ხოლო მეცნიერი 1880 წელს გარდაიცვალა. დიმიტრი ბაქრაძის ნაშრომი [23:40], სადაც იგი ოქონის ტაძრის შესახებ საუბრობს გამოქვეყნებულია 1875 წელს. ალ. გარსევანიშვილის სტატიაც 1868 წელს არის დაბეჭდილი, ამიტომ საფიქრებელია, რომ იმ დროისთვის ხატის ადგილსამყოფელი უცნობი ყოფილიყო. რაც შეეხება პრასკოვია უვაროვას, ფ. გოგოლაძის ვარადუდით, როგორც ჩანს პოლიტიკური მიზეზეების გათვალისწინებით, შესაძლოა მას შეგნებულად დაუმალეს. რადგან მისი დავალებით საქართველოდან წაიღეს და მოსკოვის სახელმწიფო საისტორიო მუზეუმს შესწირეს საფარის ეკლესიის კანკელის ფილები, შემკული შესანიშნავი რელიეფური ქანდაკებებითა და ჩუქურთმებით, XI ს-ის I ნახევრით დათარიღებული, რომელიც დიდი ძალისხმევის შედეგად 1923 წელს დაბრუნდა საქართველოში [1:50].

„როგორც ითქვა, ოქონის მეფეთა წინ-საძღოლი ხატი ვახტანგ VI-ის შთამომავალმა – გრაფინია ტოლსტოიმ, თავის ნათესავ – ნინა იღუმენიას დაუბუნა საქართველოში. ხატთან ერთად, გრაფინიას მისთვის გადაუცია ტბეთის XI სახარებაც, რომელიც ასევე ვახტანგ მეფეს თან წაუღია საქართველოდან. იღუმენია გარდაცვალებამდე თალისჩინივით უფრთხილდებოდა და ცდილობდა ფართო მასებისათვის მისი არსებობა ცნობილი არ გამხდარიყო. ექვთიმე თაყაიშვილი აღნიშნავდა, თუ როგორ „უხალისოდ“ უჩვენებდა

იღუმენია ხატსა და სახარებას, მასთან 1900 წლის 24 ნოემბერს სტუმრად მისულ ექ. თაყაიშვილს, გრაფინია უვაროვას, ნ. ცხადაძესა და დ. ერმაკოვს [1:45].

„ზუსტად დადგენილი არ არის, თუ როდის „დაბრუნდა“ ოქონის ხატი და ტბეთის სახარება საქართველოში. ჩვენ მიერ ზემოთ დამოწმებულ „ივერიაში“ (20.10.1900. № 229) გამოქვეყნებულ პ. ცხვილოელის სტატიაში, სადაც ტბეთის სახარების შესახებაა საუბარი აღნიშნულია, რომ „იგი ნინო იღუმენიას ვახტანგ VI-ის შთამომავალმა გრაფინია ტოლსტოიმ გამოუგზავნა რამდენიმე წლის წინ“, მაგრამ თარიღი დაუკონკრეტებელია. სავარაუდოდ, ეს ფაქტი 1890 წლის შემდეგ უნდა მომხდარიყო, მაგრამ არაუგვიანეს 1900 წლისა“ [1:48].

გარდაცვალებამდე ხატი და სახარება ნინა იღუმენიას „საკუთრებას“ შეადგენდა, ხოლო შემდეგ ანდერძით გადაუცია მის ნათესავ – ნ. ალექსი-მესხიშვილისათვის. იღუმენიას გარდაცვალების შემდეგ მეცნიერს უთხოვია, აღნიშნული პიროვნებისთვის უთხოვია ეს სიწმინდეები მისი თანდასწრებით ეჩვენებინა ცნობილი ფოტოგრაფის – დ. ერმაკოვისათვის, რომელსაც შესანიშნავი ფოტოები დაუმზადებია [1:46].

არჩილ II – გულსაკიდმა შესაძლოა ოქონის ხატთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია მოგვცეს, კერძოდ, თუ გავითვალისწინებთ არჩილის სწავლა-განათლებას, როგორც საერო, ისე სასულიერო სფეროში და მისი სიტყვით, რომ ვთქვათ „რაც მესმოდა, ან მენახა, ამბავი ვთქვი მე მართლები“ [21:374], არჩილს გულსაკიდი (ხატის) დამზადების დროს თან უნდა ჰქონოდა, რადგან როგორც, ქალბატონმა სვეტლანამ გვითხრა მის წინა მხარეს გამოსახულია მაცხოვრის ჯვარცმა და კარედებზე ბიბლიური სცენები, საფუძვლიანი ეჭვი მაქვს ვივარაუდო, რომ არჩილს, როგორც ვახტანგ V-ის მემკვიდრეს თან წაეღო რუსეთში მეფეთა საწინამძღვრო ხატ-ჯვარცმა, მითუმეტეს რომ იგი რუსეთში საქართველოს გათვალისუფლების სურვილით წავიდა, რათა თავი დაეხსნა ირან-ოსმალეთის დამპყრობლური პოლიტიკისგან, ხოლო როგორც წარწერის ქორონიკონი „**ტოვ**“ (1688 წ) გვაფიქრებინებს, რომ იგი უნდა უკავშირდებოდეს საქართველო-რუსეთის დიპლომატიის გაღრმავებას, რისი დამადასტურებელიც არის არაერთი წერილი არჩილ II-ის მიერ გაგზავნილი რუსეთის უმაღლეს პირებთან. ხატის სამცხეში წინადად გაბარება არ უნდა მიუთითებდეს „სახსრის“ შემოკლებას, რადგან მისი გაბარება XVII საუკუნის 80-იანი წლების ბოლო, ან 90-იანი წლების დასაწყისამდე უნდა მომხდარიყო, რადნა 1695 წელს გიორგი XI ირანში მიემგზავრება. ასევე, გიორგი XI-ს

„სახსარი“ შემოაკლდა და ოქონის მეფეთა წინ-საძღოლი ხატი და სხვა სიწმინდეები სამცხეში „დააგირავა“ [1:18], საფიქრებელია, რომ ეს პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა მივიჩნიოთ, რადგან როგორც უკვე ავღნიშნეთ, ირანელებმა გიორგი XI-ს დევნა დაუწყეს და მან, არჩილთან (ძმასთან) ერთად, იმერეთს შეაფაარა თავი, ამიტომაც მათ სამცხეში სანდო „მესხს“ მიაბარეს მოსავლელად, რადგან ირანის მთავრობამ მალე გამოამჟღავნა თავისი უკმაყოფილება გიორგის XI-ის, ანუ შაჰ ნავაზ II (1677-1688 წწ.) პოლიტიკით. ირანის შაჰს არჩილის ახალციხის ფაშასთან ურთიერთობაც არ მოასწონდა. შაჰმა გიორგის არჩილის შეპყრობა და ირანში გაგზავნა დაავალა. გიორგიმ დავალება არ შეასრულა. უფრო მეტიც, გაანადგურა ქართლის სპარსოფილი თავადები, სცადა კახეთის დაკავება და სხვა [17], ამიტომ სავარაუდოა, რომ გიორგი XI- და არჩილ II-მ „სანდო კაცს“ მიაბარეს ხატი. რადგან, მისი მოვლა-პატრონო მეფის „პრეროგატივას“ წარმოადგენდა და თან უნდა ჰქონოდა ყველგან მოგვიანებით ამას უნდა გულისხმობდეს გიორგი XI-ის წარწერა ხატზე, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

1703 წელს შაჰმა გიორგი XI-ს ქართლის მეფობა დაუბრუნა და მთელი ირანის შეიარაღებული ძალების უფროსად დანიშნა, მაგრამ სამშობლოში მაინც არ გამოუშვა. თუმცა, მეფე იქიდანაც ახერხებდა ქვეყნისათვის სასარგებლო საქმის კეთებას. ჯერ იყო და ორი ათასი თუმანი გაგზავნა იერუსალიმის ვალებში ჩავარდნილი გოლგოთისა და ჯვრის მონასტრების გამოსახსნელად, ხოლო შემდეგ სამცხეში დაგირავებული ოქონის ხატისთვისაც მოიცალა. როგორც ვახუშტი გადმოგვცემს: „კუალად წარმოგზავნა ხატი ოქონისა და ნაწილნი და ჯუარნი, რომელნი წინდად იყო სამცხეს და მესხმან მან მიულო ყოველნი და მეფემან (გიორგი XI) მას მიანიჭა უზომონი ნიჭი. ხოლო ვახტანგს რა მოუთუალნა ნაწილნი და ხატი ოქონისა, თთუესა ივლისსა ლ (=30) განუწესა დღესასწაული“ [1:18].

სამწუხაროდ, დაუკონკრეტებელია, ვინ იგულისხმება „მესხში“, შესაძლოა, იგი გვარის პირდაპირი მნიშვნელობითაცაა გამოყენებული. როგორც ჩანს იგი კეთილსინდისიერი პიროვნება ყოფილა, ვახტანგ VI-სათვის უკლებლივ მიუთვლია ჩაბარებული სიწმინდეები და შესაბამისი ჯილდოც მიუღია. ვახუშტის ცნობა ჩვენთვის მრავალმხრივ საინტერესოა [1:19]:

1) იმ დროისათვის სამცხეში უკვე საუკუნე-ნახევარზე მეტი ოსმალები ბატონობდნენ. ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი სიწმინდის სამცხეში გაბარება იმაზე მიანიშნებს, რომ ქრისტიანობას ამ კუთხეში კვლავ დასაყრდენი ჰქონდა, ვინმე „მესხიც“ გავლენიანი ფიგურა

სჩანს. გიორგი XI ოქონის მეფეთა წინ-საძღოლ ხატს შემთხვევით პიროვნებას არ მიაბარებდა.

2) გვაცნობს, საკმაოდ საინტერესო, მეფის მიერ ძვირფასი ხატის „დაგირავების“ შემთხვევას;

3) ვიგებთ, რომ ოქონის ხატი მრავალი ნაწილისაგან შედგებოდა, რასაც ქვემოთაც შევეხებით;

4) გვატყობინებს „ოქონობის“ დაწესების თარიღს – 30 ივლისს.

„კუალად წარმოგზავნა ხატი ოქონისა და ნაწილნი და ჯუარნი, რომელნი წინდად იყო სამცხეს და მესხმან მან მიულო ყოველნი და მეფემან (გიორგი XI- ი.ა) მას მიანიჭა უზომონი ნიჭი. საფიქრებელია, რომ ვახუშტის ეს სიტყვები უნდა აღწერდეს მეფეთა ხელში მის გადასვლაზე, „ხოლო ვახტანგს რა მოუთუალნა ნაწილნი და ხატი ოქონისა, თთუესა ივლისსა ლ (=30) განუწესა დღესასწაული“ [1:18]. ხოლო ამით უნდა მიუთითებდეს იმ ფაქტზე, რომ როდესაც გიორგი XI ირანში იმყოფებოდა, ამ პეიოდში ვახტანგ VI ქართლის გამგებელი იყო და შესაბამისად ქართველ მეფეთა მთავარი სიწმინდე, წინ საძღოლ ხატს არჩილ II-ისგან განსხვავებითთან ვერ წაიღებდა, ავღანელებთან საბრძოლველად ირანში წასული გიორგი XI-ისთვის ხელსაყრელი არ იქნებოდა (**ნ.დ.**).

გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულია მეფე ვახტანგ VI-ის მიერ გარსევანიშვილებისადმი გაცემული ერთი სიგელი, რომელშიც ოქონის ხატის ისტორიასა და გარსევანიშვილების წარმომავლობასთან ერთად, გორის თამარ მეფის მიერ დაარსების ლეგენდაცაა გადმოცემული [1:20].

საბუთი ჩვენთვის ნაცნობი ისტორიით იწყება და მოგვითხრობს რომანოზ კეისრის ძმისშვილი (დედანში ნახმარია შვილი) – ელენეს „გამზითვასა“ და ოქონის ღვთისმშობლის ხატთან ერთად საქართველოში გამომგზავრებამდე.

სიგელიდანვე ვიგებთ, რომ ელენეს და ოქონის ხატს საქართველოში ჩამოჰყვა დეკანოზი გაბრიელი. (შდრ. ალ. გარსევანიშვილთან – ფილიმონი). ოქონის სახელზე გორში აშენებულა ღვთისმშობლის ეკლესია, იქვე დაუსახლებიათ გაბრიელ დეკანოზი და მისთვის მამულებიც უბოძებიათ. ასე გაგრძელებულა მეფე თამარამდე.

თამარის დროს „ნაჭარმაგევის ჭალა კეთილ სახილველი და ნადირთა მიერ აღსავსე ყოფილიყო და დიდათ ჰყვარებოდა, მას ჟამსა გორსჯვარს ქვემოთ სოფელი და შენობა არ ყოფილიყო, ხატის შიშით ვერც კაცი გაივლიდა თვინიერ განშორებულს. ერთი ოდენ განშორებული იყო მტკვრის პირს სახლი, ეწოდა ათანასე და მას სანახავად მოვიდა თვით მეფე თამარ და მახლობლად ნახა გორი

კლდეკარს ტონთიოდ სახელდებული და შუა ლიახვს და მეჯუდას შინა ტყისგან შეფარულ იხილა „...მოეწონა და აღაშენა ეკლესია სახლის ზედ ოქონის მღვთს მშობლისა და თქვენი (გარსევანიშ-ვილების - ი.ა) სახლის კაცი, დეკანოზი იქიდამ მოეყვანინა და იქ დაესახლებინა და შეეწირა მამულები“ [1:20].

სიგელი უთარიღოა და არც გამცემის სახელი აქვს მიწერილი, მაგრამ ანალოგიური შინაარსის სხვა საბუთით ვიგებთ, რომ მისი გამცემის „თვითმპყრობელი მეფე და ერანის სპასალარი ვახტანგ“. რა თქმა უნდა, საუბარი ვახტანგ VI-ზეა.

ეს „სხვა საბუთი“ არის წყალობის სიგელი იასე დ გიორგი გარსევანიშვილებისადმი. ჩანს, რომ იგი საკმაოდ „პოპულარული“ და „ბრუნვადი“ დოკუმენტი იყო მეცნიერთა შორის XIX საუკუ-ნესა XX საუკუნის დასაწყისისათვის. როგორც ზემოთ ითქვა, მისი ქართული ვარიანტი გამოქვეყნებული აქვს თ. ჟორდანიას, რუსული - დ. ფურცელაძეს, გ. საძაგლიშვილსა და მ. ჯანაშვილს, ქართულ-რუსული - ე. თაყაიშვილს, ფრანგული - მ. ბროსეს და ა. შ. გვინდა აქვე მივანიშნოთ, რომ სიგელში საუბარია ოქონის მეფეთა წინ-საძღოლ ხატ-ჯვარცმაზე, ამიტომ, გარკვეული მოსაზრებით, შესაბამის ადგილებს ტექსტში ხაზგასმით აღვნიშნავთ [1:21].

დოკუმენტის დასაწყისში ჩვენთვის უკვე ცნობილი ამბებია გადმოცემული, მაგრამ გვაძლევს მნიშვნელოვან ცნობას იმის შესახებ, რომ დედოფალ ელენეს თან „ზითვად მოჰყოლია“, არა ერთი, არამედ ოქონის რამდენიმე ხატი.

...რაჟამს სულით და ხორცით გაბრწყინვებულს და ღვთისაგან განძლიერებულს და სამართლად წყალობა მინიჭებულს მეფეს ბაგრატს რომანოზ კეისრის ქალი ეთხოვნა, დედოფალი ელენე, თან ზითვად მოჰყოლოდა ოქონის ხატები (ხაზ-გასმა ჩვენია – ი.ა.) **და შენის სახლის კაცი დეკანოზად, მას დღეს ყოფილიყო ქრსტეს აქეთ ქორონიკონი: ჩიᲪ:** (=1068 წ.) **მუნითაგნვე განკეთნილ იყავით ხელმწიფეთ ჯვარის და ოქონის ხატის მტვირთველად, ლაშქარსა და ნადირობასა წინამძ-ღოლად, ვიდრე სვიმონ მეფემდე. ოდეს სულით გაბრწყინვებული მეფე სვიმონ ოფისკეჭს შებმულ იყო და მარცხ{დ}ებოდა მეფის ალექსანდრეს მიერ, შენი სახლის კაცი ჩამოეგდოთ მოეკლათ** (იგულისხმება ხატის მტვირთველი გარსა-ვანიშვილი – ი.ა) **და წინა სასვენი - ოქონის ხატიიც დარჩომოდათ და იყო ვიდრე შანავაზ მეფემდე არძრა სურვილმან და სიყვარულმან სასწაულთ მოქმედის ოქონის ხატისამან და განელაშქრა თვით ძლიერისა და არაოდეს ძლეულისა სახელოვანსა და პირად პირადად ქებულთა ღ̆თსაგან სულითა კურთხეულსა პაპასა ჩვენსა პატრონს შაჰნავაზს იმერეთ ოდიში და გურია დაეპყრნა და დაე-მონა თავისის სამკვიდრო და ქართველთ საფიცარი და საესავი წინასასვენი ოქონის ხატი კვალად ეშოვნა გარდმოესვენებინა დიდის სურვილით და სასოებით თავის სახლში დაესვენებინა და თავისავ მემკვიდრის დეკანოზის მამისავ შენის გარსევანოვისათვის მიებარებინა რაგვარადაც ძველიდგან რიგი ჰქონდა იმ წესთა აწე მოგვუდეგით კარსა დარბაზისასა ჩვენისა და წყალობას გვიაჯენით, ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, მოკითხულ გიყავით სადარბაზოს ერთობის რიგის წიგნსა შ̆ა და შენი** (გარსევანიშვილის - ი. ა.) **სიგელებიც გინახეთ არა-ვინ**

ჩნდა და ყოფილ იყო ქართველ მეფის ჯარის მტვირთველი თვინიერ თქვენისა და კვალად განგიახლეთ სიგელი ესე ძველადგანი, რიგი ასრე რომე ოდეს ქართველთ მეფე ლაშქარსა და ნადირობას წაბრძანდეს ოქონის ხატი წინ უნდა უძღოდეს დროსა დადგომისასა ან მეფისა და ან უფლისწულის სადგომს უნდა დაუსვენონ და რაჟამს შინ მობრძანდებოდეს მეფისა და დედოფლის საწოლში უნდა დაუსვენებდე“ [1:22].

აღნიშნული სამსახურის სანაცვლოდ, მეფე გარსევანიშვილებს ძველ წყალობას უახლებს: „... ესე ამრიგად გქონდა წელიწადში სამი ფარჩა, ერთი დარიაბაბრი, ერთი ყუთნი, ერთი დარაია, ერთი ხელი ტანისამოსი თავით ფერხამდინ, კვირასა და ბედნიერის დღის საწირავი აბაზი ერთი, ულუფა სამი კაცისა და ორი ცხენისა ... დარბაისელთ სახლში მიცვალებულისათ ვის მეფეთგან ნაბოძების ნასაბურავის და შესაწირავს წაღება მგლოვიარეთ მეფის ბრძანებით გარეთ გამოწვევა ეპისკოპოზთ, ახალ წელიწადის თავს ცისკრად ოქონის ხატის შემოსვენება და მიკვლევა, მაგიერის წყალობის ბოძება“.

დამატებითი წყალობაა: „მეფის სახასოში „ბოლნის ჭონა შვილები ზალუა და არუთინა, რუის ნონიაშვილები შერმაზან და მისნი ძმანი, იქევ მეზვრიშვილი გიორგი და იასაღჩი შვილნი და ამოვარდნულის გივიას შვილის ზუბიტას მამული მისის ობოლის ძმისწულთა და ურბნისის გზის პირს სახასო მიწა“ [1:22].

ჩვენთვის მნიშვნელოვანია სიგელის ბოლო ნაწილიც, რომელშიც წყალობის მომშლელთა მიმართ რისხვაა გადმოცემული და განმარტავს, რომ საუბარია ოქონის მრავალწლიან ხატ-ჯვარცმაზე: „... ვინც ესე ჩვენგან შეწირულობა და გარსევანიშვილებისათვის ნაწყალობევი ყმა და მამული გამოხვებად და გამორთმევად ხელ-ჰყოს, შერისხდი შენ საშინელო მრავალწლიანო ოქონის ხატო ჯვარცმისაო“.

აღსანიშნავია, რომ იესე გარსევანიშვილის შთამომავლებს-ივანეს და თადეოზს, მოგვიანებით აღნიშნული სიგელი წარუდგენიათ თავადაზნაურობის დამამტკიცებელი კომისიისთვის, რომელსაც 1836 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილებით სიგელი ნაყალბევად მიუჩნევიათ.

საბუთი თ. ჟორდანიას დათარიღებული აქვს 1707 წლის 7 იანვრით (სიგელზე დასმული ქორონიკონის მიხედვით), მაგრამ ჟორდანიასეულ ქრონოლოგიაში ეჭვი შეიტანა ექვთიმე თაყაიშვილმა და მიიჩნია, რომ იგი 1717-1718 წლებით უნდა დათარიღდეს. არგუმენტად თაყაიშვილს მოჰყავს ის ფაქტი, რომ სიგელში მითითებული „დასაბამი – 7225“ და „ქორონიკონი – 405“ სწორედ 1717 წელს შეესაბამება (7225-5508=1717; 1312+405=1717). მით უფრო, რომ ვახტანგ VI სპარსეთიდან 1717 წლის ბოლოს დაბრუნდა და

საგულისხმოა, რომ სიგელიც მაშინ გაეცაო. რაც შეეხება თარიღის არასწორ დასმას (1707 წ.) სიგელზე, განპირობებული უნდა იყოს გადამწერის შეცდომით, რადგან სიგელის ორიგინალი დაკარგულია და ჩვენს ხელთ მხოლოდ 1840 წლის გადაწერილი პირია მოღწეულიო, აღნიშნავს ე. თაყაიშვილი [1:24].

სიგელი ნამდვილად გადაწერილია და არ არის ორიგინალი. ეს იქიდანაც ჩანს, რომ მასში იესე გარსევანიშვილის წინაპრები რუსული ფორმით (გარსევანოვი) არიან მოხსენიებული. ბუნებრივია, დედანში ვახტანგ VI, ოქონის ხატისა და ჯვარისმტვირთველ – გარსევანიშვილებს 1717 (მით უფრო, – 1707 წელს რუსული ფორმით არ შეიტანდა.

გარდა ამისა, საბუთში გარკვეული უზუსტობებია დაშვებული, მაგ. ელენე დედოფლის საქართველოში ჩამოსვლა უნდა მომხდარიყო 1030-1032 წლებში და არა 1068 წელს, როგორც სიგელშია მითითებული.

მეორე, ოფშკვითის ბრძოლის დროს იმერეთის მეფე იყო როსტომი [1:24] (1590-1605 წწ.) და არა ალექსანდრე, როგორც საბუთშია ნათქვამი;

მესამეც – როგორც ზემოთ ითქვა, 1707 წელს ოქონის საწინამძღვრო ხატი ჯერ კიდევ სამცხეში იყო „წინდად“. ნაკლებად სარწმუნოა, ვახტანგ VI-ს გარსევანიშვილებისათვის სამცხეში გაბარებული ხატის მტვირთველის წყალობა ებოძებინა. 1724 წელს ოქონის „წინამძღოლმა“ ხატმა საქართველოს საზღვრები შედარებით დიდი ხნით დატოვა. თურქ-ოსმალებისა და კახეთის მეფე – კონსტანტინე მაჰმად-ყული-ხანისაგან შევიწროვებულ ვახტანგ VI-ს საქართველოში აღარ დაედგომებოდა და 1724 წლის 15 ივლისს, 1200 კაციან ამალასთან ერთად რუსეთში გაემგზავრა. ვახტანგმა თან გაიყოლა ოქონის ხატიც, რომელსაც გვერდიდან არასოდეს იცილებდა. მეფის რუსეთში გარდაცვალების შემდეგ [1:24], ხატი დარჩენია მის შვილს – გიორგი ბატონიშვილს, ხოლო მოგვიანებით მემკვიდრეობით გადასულა გრაფინია ტოლსტაიას ხელში, რომელსაც ოქონის ხატი მის ნათესავ ნინა ილუმენიასთვის დაუბრუნდებია საქართველოში, ხოლო შემდეგ ე. თაყაიშვილის ხელში მოხვედრილა [1:25].

„აქვე გვინდა დავაზუსტოთ, რომ ოქონის სხვადსხვა ხატების ერთმანეთთან მსგავსებასა და საერთოს ვერ ვპოულობთ. ისინი სხვადასხვა დროსაა შექმნილი, ღირებულებაც სხვაგვარი აქვთ და ოქონის სხვადსახვა ტაძრებში იყვნენ დაბრძანებულნი“ [1:25] – მიიჩნევს იოსებ ალიმბარაშვილი..

ერთ-ერთი მათგანის სავანე გახლდათ გორის ოქონის ღვთისმშობლის ეკლესია. ამ ხატს დაწვრილებით აგვიწერს ალ. გარსევანიშვილი: „ხატი არის ხისა, სამკარიანი“, გაბმული ერთი-მეორეზედ

რკინის ანჯამებით. შუაზედ არის გამოსახული მაცხოვარი, მარჯვნივ ყოვლად-წმინდა ღვთისმშობელი ქალწული მარიამ და მარცხნივ წმინდა იოვანე ნათლის-მცემელი. ნამდვილი ხატი ღვთისმშობლის, იკონიის ქალაქიდამ მოსვენებული, არის აწინდელი გორი ოქონის ღვთისმშობელი, რომლის ტაძარი არის გორის მიძინების პრიხოდის ეკლესია – ოქონა. ხოლო პირი მისი (კოპიო) არის ქალაქს მოსკოვს, გარდასვენებული საქართველოს მეფის ვახტანგ მეექვსის, ლეონის ძისგან, წელსა 1724, პეტრე რუსეთის იპმერატორის დროს. ხატსა ზედა ოქონისასა, მეტის სიძველისაგან, სახენი აღარა სჩნდნენ, მისთვის წელსა 1856, ნებითა ყოვლის მთავარმართებლის ნიკოლოზ მოურავოვისათა და ბრძანებითააწინდელი პეტერბურღის მიტროპოლიტის ისიდორესითა, მოაცხოველა სახენი ხატისანი წამლით, თვით, მან მხატვარმან, რომელმანც განაახლა ძველი, ქართული მხატვრობაი თფილისის სიონის სობოროსა შინა, თავადმა გალიცინმა. ხატი ოქონისა, წელსა 1863, ვერცხლით შეაჭედინა და ოქროს წყლით დააფერვინა, თავისის ხარჯით, აწ გარდაცვალებულმან, ქართულის ენის ღრმად მეცნიერმან, მღვდელმან იესე იაკობის ძემან“ [1:26].

გორში არსებულ ოქონის ხატთან დაკავშირებით, ერთგვარ გაურკვევლობას იწვევს ალ. გარსევანიშვილის ზემოთ მოტანილი ცნობები. თუ დავაკვირდებით, იგი, ბიზანტიიდან ჩამოტანილ „ნამდვილ“ ოქონის ხატად მიიჩნევს არა გორის სამკარედიან დაწერილ ხატს, არამედ- გორის „ოქონისღვთისმშობელს, რომლის ტაძარი არის გორის მიძინების პრიხოდის ეკლესია-ოქონა“.გარსევანიშვილისავე, ცნობით, აღნიშნული ხატის ასლი („კოპიო“), ვახტანგ VI-ს 1724 წელს მოსკოვში წაუღია. ცნობილია, რომ ვახტანგ მეექვსემ რუსეთში წაიღო ოქონის „ქართველ მეფეთა საწინამძღვრო“ ხატი. ძნელი სათქმელია, რომელი ხატის „კოპიოს“ გულისხმობს ალ. გარსევანიშვილი.

„არც ის არის დაკონკრეტებული, რომელი ხატის აღდგენა მოხდა რუსეთში 1856 და 1863 წლებში „ორიგინალის“, თუ - „კოპიოსი“. შესაძლოა, გორში მართლაც იყო ოქონის მოხატული, ვერცხლით შეჭედილი და ოქროთი დაფერილი ღვთისმშობლის ხატი, ზურგზე წარწერით, მაგრამ დღეისათვის საქართველოში ჩვენამდე მოღწეული ოქონის სამი ხატიდან, არც ერთი ღვთისმშობლის არ არის და არც ხსენებული წარწერა აქვს ზურგზე, ასე, რომ მათი იდენტიფიცირება შეუძლებელია“ [1:29].

აღნიშნულ ვერსიას ეხმაურება რუსეთში, ნიჟეგოროდის ეპარქიის სოფ. ლისკოვოს მონასტერში არსებული ღვთისმშობლის ხატი, რომელიც ოქონის სახელს ატარებს და ადგილობრივი მოსახლეობის

გადმოცემით მრავალი სასწაული აქვს მოხდენილი. სხვათა შორის, მისი დღესასწაული – 30 ივლისის ემთხვევა ვახუშტი ბატონიშვილის ზემოთ მოტანილ ცნობას ვახტანგ VI-ის მიერ ოქონობის დაწესების შესახებ. რაც შეეხება ლისკოვოს მაცხოვრის ფერისცვალების მონასტერს, XVIII საუკუნის დასაწყისიდან პეტრე I-ის ბრძანებით იგი ითვლებოდა რუსეთში (პეტერბურგში) წასული ქართველი მეფეების (არჩილის, ვახტანგ VI, ბაქარ, გიორგი ბატონიშვილები და სხვა.) ადგილსამყოფელად. სწორედ ბაქარ ბატონიშვილს დაუსრულებია არჩილის მიერ დაწყებული მაცხოვრის ფერიცვალების ქვის ტაძრის მშენებლობა, რომელიც მოგვიანებით არაერთიქართველი დიდებულის საძვალედ იქცა. ამავე მონასტერში, ოქონის ღვთისმშობლის გარდა, 50 წლის განმავლობაში ინახებოდა საქართველოდან წაღებული წმ. ნინოს ჯვარი, მაცხოვრის სამსჭვალი და სხვა დიდი სიწმინდეებით [1:29].

გორის ოქონის ხატის „ორიგინალთან“ იდენტურობაში ეჭვი შეიტანა ცნობილმა ეთნოგრაფმა და მეცნიერმა - გრაფინია პრასკოვია უვაროვამ. მისი ეჭვი იმას ემყარებოდა, რომ გორის ეკლესიაში დაცული ხატი მაცხოვრისაა, ოქონისა კი ღვთისმშობლისა იყო, თანაც, ზემოაღნიშნული ხატი არც ისე ძველია და არც ისე „გამოსაჩენი“, რომ დედოფალ ელენესათვის მზითევში გამოეტანებინათ.

ექვთიმე თაყაიშვილი: „ოფშკვითის“ ბრძოლაში იმერელ-ოდიშართა მიერ ოქონის ხატის „დატყვევებასა“ და 1661 წელს შაჰნავაზის მიერ ქართლში დაბრუნებაზე“ „ხატი ჩააბარეს ხატის მტვირთველ იესე გარსევანიშვილის მამას, ყველა ეს ცნობები ვახტანგს თვით კი არ შეუთხზავს, არამედ ამოუღია თვით ხატის წარწერებიდან და შეუტანია თავის გუჯარში. სხვა ცნობები ამ გუჯარისა, უძველეს სიგელ-გუჯრებიდან უნდა იყოს ამოღებული, ხოლო თვით ხატი ინახება პატარა ეკლესიაში გორშიო“, წერდა დ. ბაქრაძე“ [1:35].

განსაკუთრებით, საყურადღებოა დიმიტრი ბაქრაძის მიერ აცანის (გურიის) ოქონის ტაძრისა და იმ დროისათვის იქ არსებული ხატების აღწერილობა, რამდენადაც, ბაქრაძემ ხსენებული ტაძარი 1874 წელს მოინახულა, იმ დროს, როდესაც იქ ჯერ კიდევ ოსმალები ბატონობდნენ და მას შემდეგ იგი აღარავის აღუწერია. ეს ფაქტი კიდევ უფრო მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ აცანის ტაძარმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა და პირვანდელი სახის აღდგენა მხოლოდ ბაქრაძისეული ჩანაწერებითაა შესაძლებელი [1:7]. ოქონის ხატის ირგვლივ არსებულმა აზრთა სხვადასხვაობამ არა მარტო თანამედროვე მეცნიერულ წრეებში იჩინა თავი, არამედ ამ დრომდე ხატის ირგვლილ ბურუსით არის მოცული მისი ისტორია.

მეფე არჩილ II-ის მოღვაწეობა

პირველ უნდა ღვთის შიშზედა კაცმან გული დაამყაროს,
სიყვარული მისი ჰქონდეს, სასოება არ გაჰყაროს,
აზროვნება უეჭველი, ყოლე ეჭვი არ შეჰყაროს,
ქონებასა არ დამონდეს, გლახაკს მისცეს ასაპყაროს. [2:183]

ქართლის მეფის ვახტანგ V-შაჰნავაზის უფროსი შვილი არჩილი 1647 წელს დაიბადა. „როდამის თანა (მეფეს-ვახტანგ) ესხნენ ძენი: არჩილ, გიორგი, ლევან, ალექსანდრე, ლუარსაბ, სოლომონ, და ასულნი ანუკა და თამარი. ხოლო ინება მეფემან მოყვანება დადიანის ასული ცოლად არჩილ ძისა თვისისათვის“ [19:449].

ბატონიშვილი ბაქარის ცნობით, არჩილი იყო „ზედმიწევნილი სწავლითა და სულიერებითა და სიბრძნისა ცნობითა და სამხედროთა და სიმამაცითა სიმხნე და ახოვანებათა სრული“ [21:371], რადგან „მშობლებმა არჩილს მისცეს ფართო და ყოველმხრივი განათლება: კერძოდ ზედმიწევნით იცოდა მან ქართული ლიტერატურა, სასულიერო და საერო“ [16:402]. არჩილ მეფე უაღრესად განათლებული პიროვნება იყო. მას თავიდანვე დიდი გულისხმიერება და სიყვარული გამოუმჟღავნებია სწავლისადმი. იგი გატაცებით კითხულობდა წიგნებს, თვითონვე ამოწმებს:“

ოდეს ყმა ვიყავ, მიკითხავს ამბავი მე საამისო,
უმჯობეს არვინ მსწავლიდა, მეგონა რამ საამისო. [19:371]

არჩილის აღზრდაში გარკვეული წვლილი მიუძღვის მის უფროს თანამედროვე სწავლულს, ცნობილ მწერალს იოსებ სააკაძეს. მან არჩილს შეასწავლა ქრისტიანული ლიტერატურა. ერთ-ერთ ძველ ხელნაწერზე არჩილის ხელით არის მიწერილი: „იოსებ სააკაძემ მასწავლა წმინდა და საკვირველებით სავსე წიგნი ესე სახელით ოდენ მეფესა არჩილსა“ [19:371].

არჩილ II-ს მეფობა მძიმე მდგომარეობაში უხდებოდა, ის საკმაოდ გამჭრიახი პოლიტიკოსი იყო, რომელიც აცნობიერებდა შექმნილ მდგომარეობას. მან გადაწყვიტა ირანისა და თურქეთის პოლიტიკური აგრესია სწორი პოლიტიკის საშუალებით გაენეიტრალებინა. ამისათვის მეფე ყველანაირ ღონეს ხმარობდა, რასაც მოწმობს მისი პოლიტიკური ნაბიჯი, კერძოდ, როგორც ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, 1663 წელს არჩილ მეფე ეახლა ირანის შაჰს, შაჰ აბას II-ს, სადაც დახმარებისა და კეთილგანწყობილების მოსაპოვებლად მაჰმადიანობა მიიღო. აღნიშნულთან დაკავშირებით, საინტერესო ცნობას იძლევა ქალბატონი ნანა გელაშვილის სტატია, სადაც განხილულია სპარსული სამინიატურო ხელოვნების აღიარებული

ოსტატის, ალიყული-ბეგ ჯაბადარის ერთ-ერთი ნამუშევარი – „შაჰი და დიდებულები“ [10:226], რომელიც თავის მხატვრული ღირსებებთან ერთად, ჩვენთვის იმით არის საინტერესო, რომ მასზე ქართული წარწერებია, რომელიც საფიქრებელია, რომ ქართულ-ირანული დიპლომატიური ურთიერთობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეპიზოდს უკავშირდება. ჯაბადარის ზემოხსენებულ მინიატურაზე ქართული წარწერის ამოკითხვისა და საისტორიო წყაროებში (ქართულ და სპარსულ) დაცული მონაცემების შეჯერების საფუძველზე გამოითქვა ვარაუდი, რომ მინიატურაზე გამოსახულია მეფე არჩილ II-ის (1661-1699) სტუმრობა შაჰ აბას II-ის კარზე 1663 წელს, რომელიც სამეფო კარის ცხოვრების ერთ-ერთ სცენას გამოხატავს - ირანის შაჰის მიერ მაღალ სტუმართა პატივსაცემად გამართულ დარბაზობას. აღნიშნულ სურათს, ჯაბადარის სხვა ნამუშევართა უმეტესობის მსგავსად, სპარსულ ენაზე შესრულებული ხელმოწერა ახლავს, რომელიც სწორკუთხა პატარა ჩარჩოშია მოქცეული: „ის, შვილი ძველი ყმისა, ალიყული ჯაბადარი“.[6] ნახატის ცენტრალურ ფიგურას ფეხმორთხმით მჯდომი შაჰი წარმოადგენს, მის უკან, აიცნის სხვეტების გასწვრივ, დიდებულები და კარისკაცები გამწკრივებულან, რომელთა შორის შაჰისაგან მარჯვენა მხარეს მდგომი ორი ფიგურა გამოირჩევა. განსხვავებულია მათი გარეგნული იერსახე, ჩაცმულობა და, რაც მთავარია მათ თავზე მოცემულია ქართული წარწერები. სპეციალისტების აზრით, ისინი მე-17 საუკუნეს მიესადაგება, ესე იგი წარწერები ნახატის შექმნის თანადროულია. მართალია, ისინი ძნელად გასარჩევია, მაგრამ ერთ-ერთი ფიგურის თავზე აშკარად იკითხება „შაჰ ნაზარ“ [10:229]. როგორც ცნობილია, ირანში გამუსლიმანების შემდეგ, ეს სახელი ეწოდა მეფე ვახტანგ V-ის ვაჟს- არჩილს, რომელიც 1661 წელს იმერეთში გამეფდა. 1663 წელს კი შაჰ აბას II-მ ირანში იხმო კახეთის სამეფო ტახტზე დასამტკიცებლად. არჩილ II, მისი სიძე- გივი ამილახვარი, ქართველ დიდებულთა თანხლებით ირანის შაჰის ესტუმრნენ. XVIII საუკუნის ისტორიკოს სეხნია ჩხეიძის სიტყვით, ირანის შაჰის „მოეწონა სიმხნე და სიკეთე არჩილისა, დასდვა პატივი, ვითარცა შვილი მამას მოსვლოდა, ებოძა საბოძვარი მრავალი და კახეთის ბატონობა, რჯული მისი და დაარქვა სახელად შაჰნახარ-ხანი“ [10:230]. ანალოგიურია ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა, იმ განსხვავებით, რომ აღნიშნულ მოვლენას იგი 1664 წლით ათარიღებს. მისი გადმოცემით, ირანში ჩასულ არჩილს „პატივ-სცა ყეენმა და შეიყარა ფრიად, მერმე მაჰმადიანჰყო გივითურთ, მისცნა ნიჭნი დიდნი და კახეთი სამეფოდ“ [10:230].

„პარიზის ქრონიკის“ ავტორიც გვაცნობებს არჩილს მეფისა და გივი ამილახვარის ირანში ყოფნის შესახებ. მისი ცნობით, ისინი შაჰს მაზანდარანში ეახლნენ, „ყაენი კარგად დახვდა ამასაც და გივი ამილახვარსაცა. და კახეთის ბატონობა მისცეს და შაჰნაზარ-ხან დაარქვეს და გამოისტუმრეს“ [10:230].

საინტერესო ცნობებს გვაწვდის აღნიშნულ საკითხზე სპარსული წყაროები, XVII საუკუნის ისტორიკოსის მოჰამედ თაჰერის გადმოცემით, არჩილ-ხანი, გივი-ბეგი – საქართველოს ამილახვარი და სხვა ქართველი თავადები შაჰს ეახლნენ და ისლამი მიიღეს. ამის შემდეგ შაჰაბას II-მ „არჩილ-ხანს ბევრი წყალობა და დიდებული ხალათები უბოძა, შაჰნაზარ-ხანი უწოდა და ამილახვართან და მათ მხლებლებთან ერთად სამშობლოში წასვლის ნება მისცა“ [10:231].

საყურადღებოა აკად. ბ. დორნის მიერ აღმოჩენილი სპარსული ხელნაწერი, რომელსაც პეტერბურგში გავეცანით. ხსენებული ნაშრომი რამდენიმე საისტორიო წყაროს ნაერთს წარმოადგენს, მის ბოლო ნაწილში ჩვენთვის საინტერესო საკითხს ცალკე თავი ეძღვნება: „არჩილ-ბეგისა და ქართველი ამირების მაზანდარანში მისვლა“ [10:232]. წყაროში თარიღი მოხსენიებული არ არის, მაგრამ იქვე მოხსენიებულია ასტრაბადში თეიმურაზ მეფის გარდაცვალების ამბავი. ამიტომ, ცხადია, რომ მოვლენები 1663 წელს ეხება. ავტორი აღნიშნავს,რომ „არჩილ-ბეგი, გივი-ბეგი ამილახვარი და სხვა ქართველი აზნაურები მისი უმაღლესობის ფერხთა მთხვევით ამაღლდნენ, რის შემდეგაც მათ დიდებული მეჯლისი გაუმართეს“ [10:232].

ამრიგად, როგორც ქართული, ისე სპარსული საისტორიო წყაროები ანალოგიურ ცნობებს გვაწვდიან არჩილ მეფისა და ქართველ დიდებულთა შაჰ აბას II-სთან ყოფნისა და მასთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ; ამ შეხვედრის ერთ-ერთი მთავარი შედეგი (არჩილის კახეთში გამეფებასთან ერთად) ის იყო, რომ არჩილ მეფე გამუსლიმდა და მას შაჰნაზარ-ხანი ეწოდა. თუ ამოკითხული წარწერა სიმართლეს შეესაბამება [10:232], მაშინ დასაშვებია, რომ ჯაბადარის ნახატზე სწორედ ეს ფრიად მნიშვნელოვანი ფქტია აღბეჭდილი – დარბაზობა, რომელიც შაბ აბას II-მ მეფის პატივისცემად გამართა.

რაც შეეხება, ქართულ წარწერას შაჰნაზარ-ხანის გვერდით მდგომი ფიგურის თავზე, ის ჯერჯერობით გაურკვეველია, მაგრამ, როგორც საისტორიო წყაროებიდან არის ცნობილი, არჩილ მეფეს ირანში თან ახლდა გივი ამილახვარი, რომლის მუსლიმური სახელი წყაროებში მითითებული არ არის. ამიტომ საფიქრებელია, რომ სურათზე სწორედ გივი ამილახვარია გამოსახული. როგორც ჩანს, ირანის შაჰის მიერ ქართველ დიდებულთა პატივით მიღებამ დიდი

შთაბეჭდილება მოახდინა ალიყული-ბეგ ჯაბადარზე, რომელიც შესაძლოა, თავად ესწრებოდა აღნიშნულ მიღებას, ვინაიდან ის სამეფო კარის მხატვარი იყო და სწორედ იმ პერიოდში მოღვაწეობდა.. თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ჯაბადარი წარმოშობით მართლაც ქართველი იყო (ჯაბადარი ხომ აღ. საქართველოში, კერძოდ კახეთში, გავრცელებული გვარია) [10:233], ცხადია, მისთვის განსაკუთრებით საყურადღებო იქნებოდა ზემოხსენებული ისტორიული მოვლენა და ამიტომაც ტილოზე მისი აღბეჭდვა გადაწყვიტა.

არჩილ მეფის პოლიტიკურმა ნაბიჯმა გამაჰმადიანებასთან დაკავშირებით, ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური კლიმატი ვერ შეცვალა. XVII საუკუნის ფეოდალურ დაქუცმაცებულ საქართველოს ირანისა და თურქეთის აგრესიის მოსაგერიებლად გამუდმებული ბრძოლები უხდებოდა, რის გამოც იგი ძლიერ მოკავშირეს ეძებდა. ასეთ დამხმარე ძალად, საქართველოს პოლიტიკურ მოღვაწეთა ნაწილი ერთმოწმუნე მართლმადიდებლურ რუსეთში ხედავდნენ; რუსეთი, პოლიტიკურად ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფო წარმოადგენდა და მუსლიმანი დამპყრობლების უღელქვეშ მოქცეული ქრისტიანი ხალხების მფარველობაზე პრეტენზიას აცხადებდა. XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა ვითარდებოდა ორმხრივი პოლიტიკური ინტერესების საფუძველზე. ამ ურთიერთობის ფუძემდებელი არჩილ II იყო. ამიტომაც მისი პოლიტიკური გეგმები და ნაბიჯები გააზრებული და გეგმაზომიერი იყო. მას შემდეგ, რაც მეფეს ირანის შაჰისგან იმედები გაუცრუვდა და მიზანს ვერ მიაღწია,მას შემდეგ, რაც არჩილმა პოლიტიკური მიზნების განხორციელებისას კრახი განიცადა, ოთხჯერ გამეფდა იმერეთში, კახეთში გამეფებაც ხანმოკლე აღმოჩნდა. ის ცდილობდა გაეგრძელებინა მამის პოლიტიკური კურსი-გაეერთიანებინა და გაეძლიერებინა საქართველო, მაგრამ ამის განხორციელებას ხელს უშლიდნენ ურჩი ფეოდალები, ირანის შაჰი და ოსმალეთის სულთანი. 1680 წელს არჩილმა რუსეთის მეფეს - თედორე ალექსის ძეს გაუგზავნა არქიმანდრიტი მაკარი და გირგოლის შვილი იოანე წერილით: "იმერეთს მართალი ბატონი არ იჯდა, ამათაც მოინდომეს და გამაბატონეს. მასუკან, ხვანთქარს ლაშქარი გამოეგზავნა და მოგვიხდეს, ვიბრძოლეთ, ზოგი იმათ დაგვიხოცეს, ზოგი ჩვენ დავხოცეთ, მაგრამ ბოლოს იმათ დაგვჭარბეს და ის ალაგი დაგვაგდებინეს. თერგზე ლაშქარი გვიბოძე და თქვენს მზეებრ განათლებულს ხატხადმი მოგვაწევინე, რომ ქრისტიანობა არ დაგვეკარგოს" [13:11].

მარი ბროსეს მიერ მოტანილი კიდევ ერთი საინტერესო ცნობა, რომლითაც რუსეთს ატყობინებს მრავალი სიწმინდის წახდების

შესახებ : „საქართველო დიაღ შეწუხდა და დასუსტდა ქრისტიანობა და მოუძლურდა, გვარგე რამე, ამდენი საყდრები და მონასტრები, ამდენი პატიოსანი ხატი და ჯვარი, ამდენი წმინდანი ნაწილები დაკარგვას აპირობენ, სულ წახდენას აპირებენ, მეეხმარე, ნუ შეურაცხყოფ, დაგვიხსენ განსაცდელისა და საცდურისაგან“ [11:452]. „1682 წ. იგი მთელი ოჯახითა და დიდი ამალით რუსეთში გაემგზავრა. (1682-1685 წწ.) ჯერ ასტრახანში იყო, შემდეგ (1686-1687 წწ.) კი მოსკოვში, ხოლო 1687 წელს მოსკოვში ქართლის მეფის გიორგის მიერ გაგზავნილი არქიმანდრიტი ლავრენტის ჩასვლის შემდეგ, რადგანაც გიორგი არჩილს იწვევდა საქართველოში მუსულმანების წინააღმდეგ შეთანხმებული ძალით საბრძოლველად. არჩილი დათანხმდა, დახმარება (ფულითა და ჯარით) გამოითხოვა რუსეთის მთავრობისაგან; ხანგრძლივი მოლაპარაკების შედეგად სამგზავრო ხარჯებს გარდა მიიღო 5000 მანეთი და ორი უფროსი შვილის (ალექსანდრესა და მამუკას) თანხლებით 1688 წელს საქართველოში დაბრუნდა, სადაც 1699 წლამდე დროგამოშვებით იმყოფებოდა იმერეთში. რამდენიმეჯერ გაუგზავნა მოსკოვს ოფიციალური მოხსენება თავის საქმიანობის თაობაზე და შემწეობა ითხოვა [2:168].

1690 წელს არჩილი დიგორიდან ატყობინებს მოსკოვს, რომ 1689 წელს იანვრის თვეში „ჩემის საბატონოს უფროსი დავიჭირე“, მაგრამ მალე იძულებული გავხდი სამეგრელო-აფხაზეთში გავსულიყავიო: „ასრე მოგვიხდა საქმე, რომ მე შავის ზღვის პირს დავრჩი და ჩემი შვილები მთის ქვეყანას. ვეღარც მე ჩემს შვილებთან მოველ, ვეღარც ეგენი ჩემთან მოვიყვანე და წიგნი გავუგზავნე, თქვენთან ისრევ ღვთის მოყვარეთა და მოწყალეთა დიდს ხელმწიფეებთან წადი. ჩემს საქმეს-რომელსაც ღმერთი განაგებს-კიდევ გაცოდინებ მეთქი. ჩემი შვილები ამავ წელიწადს (ე.ი. 1689 წელს) თებერვალს ოცხ წამოსულიყვნენ მაგათის მეფობის დიდებულებასთან“-ო. (საბუთები, №24) [2:168].

1688 წელს საქართვლოში დაბრუნდა, მაგრამ 1699 წელს იგი საბოლოოდ დამკვიდრდა მოსკოვის მახლობლად სოფ. ვსეხსვიატსკოეში („ვსესენწკაში“) და აქ დაარსა მან პირველი ქართული კოლონია. არჩილის კარი იქცა ქართული კულტურის დიდ ცენტრად, აქ მოღვაწეობდნენ მწერლები და სწავლულები - დავით თურქესტანიშვილი, ბაგრატ სოლოღაშვილი, დიმიტრი კავკასიძე, გაბრიელ ჩხეიძე, პეტრე ნექაძე და სხვები [21:372].

ამიტომ პოლიტიკურად ხელმოცარული არჩილ II 1680 წ. გაემგზავრა რუსეთში, რათა მისი დახმარებით თურქეთის წინააღმდეგ გაელაშქრა და იმერეთის ტახტი დაებრუნებინა.

არჩილი რუსეთისაგან რეალურ დახმარებას მოელოდა. 1687 წ. მეფე თავისი ძმის ქართლის მეფის გიორგი XI-ის მოწვევით ტოვებს რუსეთს და საქართველოში ბრუნდება. რუსეთი არჩილ II-ს მხოლოდ ეკონომიურ დახმარებას უწევს ჯარის დასაქირავებლად. არჩილმა მოსკოვი 1688 წ. 19 ივლისს დატოვა [9:111]. მას თან ახლდნენ მისი ვაჟიშვილები ალექსანდრე და მამუკა. მეფის ამალაში სულ 66 კაცი შედიოდა, მათ შორის იყვნენ ბერძენი მიტროპოლიტი ლეონტი და მისი 7 თანმხლები, რუსეთის მეფეთა სიგელი გაეგზავნა, თერგის ვოევოდას ტიმოფეი ოპუხტინი, რომელსაც ევალებოდა არჩილის ამალის მიღება და შეუფერხებლად საქართველოში გამგზავრება.

კრებული „არჩილიანი“ [2:5], რომელშიც მეფემ საკუთარ თხზულებებს ერთად მოუყარა თავი, მან მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა და ასევე შექმნა ახალი ლიტერატურული სკოლა [21:373], რომელმაც შემდგომში დიდი გავლენა იქონია ქართული მწერლობის განვითარებაზე. მის ეპოქაში ხდება ძველი ტრადიციების კრიტიკული გადაფასება, ყალიბდება ახალი შეხედულებები.

არჩილს მიუღია კარგი განათლება, როგორც საერო, ისე სასულიერო (საქრისტიანო) [3:163], ალბათ ამიტომაც, არჩილი განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა კულტურული კერების განახლებასა და მოვლა-პატრონისათვის. თავის ხანმოკლე მეფობის პერიოდში არჩილ II ენერგიულად იბრძოდა ქვეყნის ეკონომიკურ და კულტურული დაწინაურებისთვის. მას დიდი დამსახურება ჰქონდა ქართული კულტურის მაშინდელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრის - გარეჯის უდაბნოს აღსადგენად „ქართველთა მეფისა შანაოზ პირმშომან სასურველმან ძემან, კახეთის მეფედ დადგინებულმან კვალად შენობა ჩააგდო უდაბნოში, მღვდელ-მონაზონები და წინამძღვარი დაუდგინა, წლითი-წლად გამოსაზრდელი საზრდო გაუჩინა“ [21:372] – ერთ-ერთი ისტორიული საბუთის მიხედვით. არჩილი ასევე დიდი გულმოდგინებით ზრუნავს სვეტიცხოვლისა და ქართული კულტურის ცენტრების კეთილმოწყობაზეც. მწვავე პოლიტიკურმა მიზეზებმა (სპარსეთისა და ოსმალეთის პოლიტიკურმა ჩარევებმა) არჩილ მეფეს გადააწყვეტინა, რომ მხოლოდ რუსეთთან მჭიდრო კავშირის დამყარებაში იყო გამოსავალი.

არჩილის შემოქმედება დაფუძნებულია „მართლის თქმის“ პრინციპზე, მისთვის პოეზიის საგანი, ასახვის ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ სინამდვილე, რეალური მოვლენა. მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟები, სიტუაციები, ამბები, რეალურად არსებულ ისტორიულ ფაქტებს უნდა ასახავდეს. „მართლის თქმის“ პრინციპს არჩილი აყალიბებს თეიმურაზისა და

რუსთაველი „გაბაასების“ შესავალ ნაწილში: „სხვას ზღაპრულს ამბავს ესევ მართალი ამბავი ვარჩიე გასალექსავად; და არცა რა ამაში ტყუილი სწერია ერთის მეფისა და რუსთაველის პირდაპირ გაბაასების მეტი. საქართველოს ამბავსაც კარგად და მართლა მოგახსენებს, ბატონებისა და დარბაისელთასა“. პოეტს „ტყუილად“ მიაჩნია ისტორიულად არარსებული, გამოგონილი ფაქტი, სიუჟეტი. თავისი პოეზიის ერთ-ერთ ღირსებად არჩილი მიიჩნევს იმას, რომ ის „ნამდვილ ამბავს“ აღწერს და არა მოგონილს, „ზღაპრულს“:

ვეჭვ ესე ჩემი ნათქვამი კარგი რამ მოსაგონარი,
არ საკიცხავი ამბავი, ამაო და მოსაწონარი,
არც სხვათ ზღაპრულთა შაირთა ტყუილად გასაგონარი [21:374].

არჩილ მეფე „ზღაპრულ შაირთა“ და სახოტბო ჟანრის დამკვიდრებას მწერლობის ნაკლად მიიჩნევს. „არა ხოტბა, არამედ მართალიო“, ანუ მისთვის სახოტბო პოეზია გამორიცხავს სიმართლეს, მაშინ როდესაც მწერლის დანიშნულებაა სწორედ სინამდვილე ასახოს:

რაც მესმოდა, ან მენახა, ამბავი ვთქვი მე მართლები,
ანუ ლხინი, ანუ ჭირი ერთმანეთზედ დანათვლები,
სიმართლე და კვლავ სიმრუდე, ვინ ბნელი ქმნა, ან ნათელი [21:375].

არჩილის მეფის მიერ წამოყენებული „მართლის თქმის“ პრინციპი გულისხმობს, ნამდვილად, ისტორიულად მომხდარი ამბის, ფაქტის აღწერას, მის სწორ ასახვას. ის ასევე მოითხოვს მწერლობაში ისტორიულ- ნაციონალური თემატიკის დამუშავების აუცილებლობას.

არჩილ მეფე აკრიტიკებს მის წინამორბედ პოეტებს ამბავთა ზღაპრულობისა და უცხოურ (სპარსულ) წარმომავლობას. ის მათგან მოითხოვს, რომ ასახონ ქართული სინამდვილე, მკითხველი უნდა გრძნობდეს, როგორც ისტორიულ სინამდვილეს, ასევე თანამედროვეობას. მწერლობა, უპირველეს ყოვლისა, უნდა ემსახურებოდეს ერის წინაშე დასმულ საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტას. ამით, მეფე ერთგავარ უპირისპირდებოდა თეიმურაზ პირველის სპარსოფილურ ტენდენციებს. არჩილი გმობს უცხოური სიუჟეტებით გატაცებას და მოითხოვს ეროვნულ თემატიკაზე ყურადღების გამახვილებას.

შედეგები და მათი ინტერპრეტაცია

ამ ნაშრომის მიზანს არ წარმოადგენს იმის მტკიცება, თუ რომელი ხატი არის ელენე დედოფლის „მზითევი“. არამედ, მიგვაჩნია, რომ ზემოთ აღნიშნული „გულსაკიდი“ მნიშვნელოვან ინფომაციას შეიცავს და მნიშვნელოვნად დაეხმარება და კიდევ უფრო გაამყარებს ექვთიმე თაყაიშვილის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას „ეჭვ მიუტანელია, რომ ვახტანგ მეექვსის სიგელში მოხსენიებული ხატი ნამდვილად ის ხატია, რომელზედაც ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი, ეს ხატი ძველი დროიდან წინ უძღოდა ქართველთ მეფეებს ომში, ცნობილი იყო ოქონის ხატად“... [14:1-3] ამ ხატის ექვთიმესეული დახასიათება ძალიან ჰგავს ჩვენს მიერ მოპოვებულგულსაკიდ ხატს, რომელიც სავარაუდოდ რუსეთში არჩილ II-ს შეკვეთით უნდა იყოს დამზადებული, რასაც გარდა ქორონიკონისა (1688 წ.) მიუთითებს, ასევე ხატის კუბოს ზედა ნაწილზე ხელოსნის მიერ არსებული თარიღი, რომელის ერთი ციფრიც არ იკითხება [16:8].

მას შემდეგ, რაც ქალბატონი სვეტლანა ზუზევა გამოაქვეყნებს საკუთარ მოხსენებას და გვეცოდინება გულსაკიდის წინა პირი მისი სიღრმისეული შესწავლა, ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი. აღნიშნული საკითხის კვლევას მომავალშიც გავაგრძელებთ, ამ ეტაპზე გადაჭრით რაიმეს მტკიცება ცოტა რთულია.

დასკვნა

ოქონის ხატის ირგვლივ აქტიური პოლემიკა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ჯერ კიდევ XIX-საუკუნის II ნახევრიდან დაწყებულა და დღემდე მეცნიერთა აზრი ორად იყოფა, ერთი ნაწილი თვლის, რომ ოქონის ხატი ღვთისმშობლის სახელობის არის, მეორენი -მაცხოვრის. აღნიშნული კითხვაზე პასუხის გაცემას ართულებს ის გარემოება, რომ დასავლეთ საქართველოში არსებული ოქონის ეკლესიები ძირითადად მაცხოვრის სახელობის არის, ხოლო აღ-მოსავლეთ საქართველოში - ღვთისმშობლის სახელობის. ოქონის ხატის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება გამოთქვა ბიზანტინოლოგმა თამარ მესხმა, მისი აზრით, გორის მფარველი ოქონის ხატი მთავარანგელოზის სახელობის უნდა ყოფილიყო, რადგან ბერძნულად „ოხონიატის“ [14:10] მთავარანგე-ლოზის ეპითეტია. თავისთვად, აღნიშნული მოსაზრება ძალიან საინტერესოა, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოში არსებული ოქონის არც ეკლესია და არც ხატი მთავარანგელოზის სახელზე არ მოიძებნება.

აღნიშნული ნაშრომის შექმნის მიზანია, რუსეთის კრემლის მუზეუმში დაცული, არჩილ მეფის სახელზე დამზადებული პანაღეას, როგორც ახალი ისტორიული წყაროს მიმოქცევაში შემოტანის მცდე-ლობა. იმის გარდა, რომ აღნიშნული გულსაკიდი დღემდე უცნობია და შეუსწავლელი ქართველი მეცნიერ-მკვლევარების მიერ, მისი მნიშვნელობა იმითაც იზრდება, რომ იგი „ცხოვლის მყოფელი ოქო-ნის ხატის“ სახელზეა შესრულებული, რომელსაც ხატის ზურგზე ამოტვიფრული ასომთავრული წარწერა ადასტურებს.

ვინაიდან, ჩვენი დიდი ძალისხმევის მიუხედავად არ გვაქვს ხა-ტის წინა პირი, მაგრამ ქალბატონი სვეტლანა ზუზევას მოხსენების გამოქვეყნების შემდეგ სიღრმისეულად დავიწყებთ მის შესწავლას.

შენიშვნები

[1] რუსეთის კრემლის თოფხანა – მუზეუმის საგანძური – არის დიდი კრემლის სასახლის კომპლექსის ნაწილი. ის არის განლაგებულია შენობაში, რომელიც აგებულია არქიტექტორ კონსტანტინ ტონის მიერ 1851 წელს. მუზეუმში ინახება ძვირფასი ნივთები, რომელიც საუკუნეების მანძილზე ინახებოდა სამეფო ხაზინასა და საპატრიარქო საგანძურში. ისინი შესრულებული იყო კრემლის სახელოსნოებში, ასევე უცხო სახელმწიფოების საელჩოების საჩუქრებს წარმოადგენდა. მუზეუმის სახელწოდება მომდინარეობს კრემლის უძველესი განძთსაცავიდან.

თოფხანა ინახავას ძველ სახელმწიფო რეგალიებს, სამეფო სადღესასწაულო ტანსაცმელს და მეფეთ კურთხევისთვის განკუთვნილ კაბას, რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის იერარქიების შესამოსლებს, აგრეთვე, რუსი ხელოსნების მიერ შესრულებულ უდიდეს კოლექციას ვერცხლისა და ოქროს ნაკეთობების.

მუზეუმში წარმოდგენილია დაახლოებით 4000 დეკორატიულ-სახვითი ხელოვნების ნიმუში რუსეთის, ევროპისა და აღმოსავლეთ ქვეყნების IV ს.– XX დასაწყისამდე. მათმა მაღალმა მხატვრულმა დონემ და განსაკუთრებულმა ისტორიულ-კულტურულმა ღირებულებამ მოსკოვის კრემლის თოფხანას მოუტანეს მსოფლიო აღიარება.

[2] Здравствуйте, уважаемый профессор Бухрашвили! Я надеюсь, Вы сможете прочитать мое письмо, если нет, напишите, я перепишу его латиницей. Спасибо Вам большое за внимание и за перевод надписи. Я - научный сотрудник сектора древнерусского художественного металла XII-XVII веков отдела “Оружейная палата” Музеев Московского Кремля. У нас хранится пока неопубликованное и мало известное произведение - золотой складень с прекрасными эмалевыми изображениями евангельских сцен, выполненными в мастерских Московского Кремля по заказу грузинского царя Арчила. С оборотной стороны золотого складня - серебряная пластина с черневой надписью, которую Вы любезно перевели. Инвентарный номер этого предмета - МР-3677. (если Вам нужно для ссылки). Об этом произведении вскользь упоминает Ю.А. Пятницкий в статье об иконе “Богоматерь Грузинская” из Музеев Кремля. Если Вам нужно, я пришлю ссылку. Как следует из надписи, этот трехстворчатый складень был “прикладом” к древней Оконской иконе. Как я поняла, эта икона находилась в церкви в Нижегородской губернии, где находились земли имеретинских царей. Сам складень поступил в Музей из московского единоверского храма. Как он туда попал, неизвестно. Я как раз сейчас занимаюсь этим складнем, буду делать про него доклад. Меня он очень интересует, поскольку на торце имеется подпись кремлевского эмальера. У меня к Вам вопрос по поводу даты. В наших архивных документах я нашла перевод надписи и дату - 1688. Известно, что царь Арчил приехал в Москву в 1685, был здесь до 1688, потом отъехал в Грузию, и вернулся уже в 1699 году. Не может ли быть надпись все-таки 1688 год? Просто на торце складня, где, как я предполагаю, подпись мастера - стоит дата 16(нечитаемая цифра)8.. С уважением, Светлана Геннадиевна Зюзева.

[3] Здравствуйте уважаемая Нино!Работа над статьей продолжается. Как я Вам писала, на лицевой стороне складня находится Рампятие, символы евангелистов. На боковых сторонах - в медальонах евангельские праздники. Все выполнено в технике живописной эмали на золоте. Поэтому это не похоже на те произведения, фотографии которых Вы прислали. Напишите подробнее, что это за произведения? Это предметы, связанные с царем Арчилом? С уважением, Светлана.

[4] ე. თაყაიშვილის მოსაზრებით, მეფეთ-მეფე გიორგი, რომლის ცოლის ერქვა რუსუდანი და შვილს - ბაგრატი, ესაა იმერეთის მეფე-გიორგი II (1565-1585წწ.), ბაგრატ III-ის შვილი შერვაშიძის ასული - რუსუდანი, გიორგი II-მ 1563 წელს შეირთო,

ხოლო მეუღლე გარდაეცვალა 1578 წელის 4 აგვისტოს. ხოლო წყაროების მიხედვით ბაგრატი გადაიცავალა ასევე, 1578 წელს. „ 1581 წელს გიორგი მეფემ მოარბია შიდა ქართლი, მაგრამ ამ წარწერას მაშინ ვერ დასწერდა, ვინაიდან რუსუდან დედოფალი და ბაგრატ-გარდაცვალებულნი იყვნენო“ [1: 39].

[5] „ქ. ეჰა ძვირ უხსენებელო გონება მიუწვდომელო ცისა და ქუეყნის შემქმნელო ყოვლის ფერის დამბადებელო ღ-თო ძეო მაცხოვარო ქრისტე მეუფეო ჯვარცმაო ოქონისაო რომელმან მოვაჭედინეთ კუბო ესე ვერცხლითა ჩუენ დადიანმა პატრონმა ლევან მის კურთხეულისა ჩუენისა ამ სოფლისა თვალისა სინათლისა დედოფლისა პატრონისა ნესტან-დარეჯანისა სულისა სახსრად და საოხად რათა იხსენ ყოულისა სატანჯველისაგან ლევან“ [1: 40].

[6] ჯაბადარის ბიოგრაფიული მონაცემები მეტად მწირია. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა XVIII ს. ირანელი ისტორიკოსის ლუთფ ალი-ბეგ აზარ ისფაჰანის ნაშრომი „ათეშქადე“ (ცეცხლის ტაძარი“ ანუ ცეცხლთაყვანისმცემელთა ტაძარი“. ავტორი უაღრესად მაღალ შეფასებას აძლევს ჯაბადარის შემოქმედებას და სხვადასხვა საქებარი ეპითეტით ამკობს მას. მისი გადმოცემით, ალიყულ-ბეგი ევროპელი იყო, ისლამის მიღების შემდეგ კი იგი წარმატებით მოღვაწეობდა ჯერ შაჰ აბას II -ის (1642-1666), შემდეგ შაჰ სულეიმანის (1666-1694 წ.) კარზე. ჯაბადარი სასახლის კარის მხატვართა მთელი დინასტიის ფუძემდებელი გამხადარა. უკანასკნელი სეფინაბისა და ნადირ შაჰის (1736-1747წ.) ზეობის პერიოდში მისი შვილი აბდალ-ბეგი და შვილიშვილი მუჰამედ ალი-ბეგიც მთავარი მხატვრები იყვნენ. სხვა ცნობები ჯაბადარის შესახებ არ მოიპოვება [10: 227].

ბიბლიოგრაფია

1 ალიმბარაშვილი, იოსებ (სოსო), ოქონის ხატ{ებ}ისა და ტაძრების ისტორიიდან, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2012

2 არჩილიანი, ანუ მეფის თეიმურაზ პირველის ცხოვრება, ისტორიული პოემა და სხვა ლექსები / თქმულნი მეფის არჩილ მეორეს მიერ, გამოცემული ლავრენტი მაჩიტაძის-დიმელისაგან, ქუთაისი, 1888

3 ბარამიძე, ალექსანდრე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. II, თბილისი, 1940

4 ბარამიძე, რევაზ, არჩილ ბაგრატიონი, გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, 1983

5 ბარამიძე, რევაზ, ეროვნული ცნობიერებისა და ეთიკის ზოგიერთი საკითხი არჩილის შემოქმედებაში, სამეცნიერო შრომების კრებული, №2, თბილისი, 2004, გვ. 127-135

6 ბროსსე, მარი, საქართველოს ისტორია, ტფილისი, 1900

7 გარსევანიშვილი, ალექსანდრე, ქალაქი გორი და სასწაულთმოქმედი ოქონის ღვთისმშობლის ხატი, ჟურნალი „ცისკარი“, №2, 1868

8 გეგელიშვილი, ნანა, მეფე არჩილ II როგორც რუსეთის დიდი ფეოდალი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, №3, თბილისი, 1991, გვ. 154-171

9 გეგელიშვილი, ნანა, არჩილ II-ის ბრძოლა იმერეთის ხატხისათვის XVII საუკუნის 80-90-იან წლებში, მისი პირველი მარცხი და შვილების რუსეთში დაბრუნება, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, №2, თბილისი, 1992, გვ. 111-116
10 გელაშვილი, ნანა, მეფე არჩილ II-ის შეხვედრა ირანის შაჰთან (1663 წ.), ქართული დიპლომატია, №7, თბილისი, 2000, გვ. 226-234
11 გვრიტიშვილი, დავით, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ტ. III, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1968
12 გოგოლაძე, თამარ, ოქონის ჯვარცმის თავგადასავალი, გაზ. „ლიტერატურული ცხინვალი“, №12, 2004, გვ. 107
13 გონიკიშვილი, მიხეილ, ბაგრატიონთა დასახლება და მოღვაწეობა მოსკოვში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1986
14 თაყაიშვილი, ექვთიმე, ოქონის ხატი, გაზ. „ივერია“ №231, 24.10.1900, გვ. 1-3
15 კაკაბაძე, სარგის, საქართველოს ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა (1500-1810 წ.წ.), ქ.შ. წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემა, ტფილისი, 1922
16 კეკელიძე, კორნელი, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1981
17 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, რედ. მამია დუმბაძე, თბილისი, 1973
18 ტატიშვილი, ვლადიმერ, ქართველები მოსკოვში, მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1959
19 ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV თბილისი, 1973
20 ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 1975
21 ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, (კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე), თბილისი, 1954
22 ხუსკივაძე, ლეილა, საქართველოს სიძველენი, თბილისი, 2004
23 Записки Общества любителей кавказской археологии, Ред.: Ад. Берже и Дм. Бакрадзе, Тифлис, 1875

Nino Didebashvili

Okoni icon from the Moscow Kremlin Armoury

Summary

The aim of the present paper is to bring into circulation a historical source unknown for scientific society up to now. Namely, the question is related to the icon commissioned by the king Archil II (1647-1713) unexplored until now, protected in the armory of Kremlin.

As it is obvious from the dating inscriptions placed on the icon, the above-mentioned "pendant" icon is made on the name of the "Almighty Okoni icon"; for me, as a historian, the above indicated inscription and date contain significant information. It's description and analysis will provide the investigators interested in the history of Georgia of late middle centuries with additional data and will lighten up one unknown section of the Georgian king's heritage of this period, which has been unexplored until now.

As is known, the active debates among scientists about the Okoni icon started already from the second half of the XIX century and there are still many questions around it even nowadays. Therefore, when investigating the above-mentioned issue, every new source should have a great importance. Additionally, it contains significant data about the relationship between Russia and Georgia during the XVII century.

By means of well-founded suppositions, it is probable that the study of the above-mentioned icon will provide answers to the following questions:

a) Why should Archil II take the Okoni leadership icon-crucifix to Russia with him?

b) What connection may exist between the "Almighty Okoni icon" commissioned by Archil II and protected in the Kremlin armory and the main relics described by E. Takaishvili-the leader of kings-Okoni icon-crucifix?

c) Based on the date indicated in the inscription, it is possible to suppose why the king did not made any inscription on the main relics, when on the walls of the icon, on the "forehead" and "back", there are inscriptions of three kings of Georgia (kings of Georgia: Shah-Navaz and Giorgi XI, king of Imereti-Giorgi II) and the sovereign of Odishi-Levan II.

As we already mentioned above, due to the fact that the icon (the pendant) was commissioned by the king Archil II, his multilateral education should be taken into consideration, in secular, as well as in religious terms; the so-called "literature school" established by him, the principle of "saying the truth" - should also be considered, which had further significant influence on the development direction of the Georgian literature.

ტაბულები

სურათი 1. გულსაკიდის ზურგი

ⵔ	ⵕ	ⵖ	1	ⵛ	ⵜ	ⵚ	200
ⵓ	ⵗ	ⵘ	2	ⵙ	ⵚ	ⵛ	300
ⵔ	ⵕ	ⵖ	3	ⵜ	ⵚ	ⵛ	
ⵔ	ⵕ	ⵖ	4	ⵚ	ⵚ	ⵛ	400
ⵔ	ⵕ	ⵖ	5	ⵚ	ⵚ	ⵛ	500
ⵔ	ⵕ	ⵖ	6	ⵚ	ⵚ	ⵛ	600
ⵔ	ⵕ	ⵖ	7	ⵚ	ⵚ	ⵛ	700
ⵔ	ⵕ	ⵖ	8	ⵚ	ⵚ	ⵛ	800
ⵔ	ⵕ	ⵖ	9	ⵚ	ⵚ	ⵛ	900
ⵔ	ⵕ	ⵖ	10	ⵚ	ⵚ	ⵛ	1000
ⵔ	ⵕ	ⵖ	20	ⵚ	ⵚ	ⵛ	2000
ⵔ	ⵕ	ⵖ	30	ⵚ	ⵚ	ⵛ	3000
ⵔ	ⵕ	ⵖ	40	ⵚ	ⵚ	ⵛ	4000
ⵔ	ⵕ	ⵖ	50	ⵚ	ⵚ	ⵛ	5000
ⵔ	ⵕ	ⵖ	60	ⵚ	ⵚ	ⵛ	6000
ⵔ	ⵕ	ⵖ	70	ⵚ	ⵚ	ⵛ	7000
ⵔ	ⵕ	ⵖ	80	ⵚ	ⵚ	ⵛ	8000
ⵔ	ⵕ	ⵖ	90	ⵚ	ⵚ	ⵛ	9000
ⵔ	ⵕ	ⵖ	100	ⵚ	ⵚ	ⵛ	10000

სურათი 2. ანბანი